საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

CSRDG THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

# 2013

# წლიური ანგარიში

# ANNUAL REPORT

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

# წლიური ანგარიში

# ANNUAL REPORT

# 2013

თბილისი

# სარჩევი

**I. ორგანიზაციის შესახებ ..........................................................................5**
**II. ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ..............................................19**
**III. პროგრამული საქმიანობის ანგარიში ..................................................29**
• პროგრამა -სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება ..........................................................................31
*თემის განვითარების ქვეპროგრამა ..........................................................31*
*საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ქვეპროგრამა ...........................................................................................43*
• პროგრამა -კარგი მმართველობის ხელშეწყობა ........................................55
*თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა ................................... 55*
*კვლევები და რეფორმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ............................67*

## დანართები

დანართი 1 . 2013 წლის პროექტები ...........................................................73
დანართი 2 . დონორები და პარტნიორები ..................................................74
დანართი 3. 2013წლის გამოცემები ..........................................................75
დანართი 4. 2013 წელს ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები ...........................................................76
დანართი 5. 2013 წლის ფინანსური ანგარიში...............................................78

# CONTENTS

**I. About the Organisation ........................................................................5**
**II. Governance Structure and Stakeholder Engagement.............................19**
**III. Program Report on our Activity..............................................................29**
• Program – Strengthening the Civil Society Institutions ................................31
*Community Development* .........................................................................31
*Development of Civil Society Organizations*.......................................................43
• Program - Promoting Good Governance........................................................55
*The local government development* ........................................................55
*Research and promotion of reforms*....................................................................67

ANNEXES

Annex 1. Projects implemented in 2013..........................................................73
Annex 2. Donors and Partners.............................................................................74
Annex 3. Centre Publications in 2013.................................................................75
Annex 4. Trainings and Seminars Conducted in 2013 .................................. 76
Annex 5. Financial Report for 2013 / Auditor's Report 2013 .........................78

# 1 ორგანიზაციის შესახებ ABOUT THE ORGANISATION

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1995 წელს და გააჩნია სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი არის - ფონდი.

ჩვენი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს ფარავს. ორგანიზაციის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო წარმომადგენლობითი ოფისი - თელავში. ჩვენი დაფინანსების ძირითადი წყაროებია საერთაშორისო ფონდებიდან გრანტების სახით მოძიებული თანხები. ჩვენი შემოსავლების მცირე ნაწილს შეადგენს აგრეთვე ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურებიდან (ტრენინგები და კონსულტაციები) შემოსული თანხები (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ფინანსური ანგარიში, დანართი 5).

## მისია, ხედვა და ფასეულობები

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მისიაა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ხელშეწყობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვითა და მათი ინტერესების დაცვით, ასევე სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების გზით.

ამრიგად, ცენტრის მისია არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა მთავრობასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის ხელშეწყობის გზით.

## საქმიანობის სფერო

მისიის შესასრულებლად „ცენტრს“ დასახული აქვს სამი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ქვეყნის მოსახლეობასთან, მთავრობასა და კერძო სექტორთან მიმართებით:

- **მოსახლეობასთან** ცენტრი აქტიურად მუშაობს ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის, მოსახლეობის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით;

Founded in 1995, the Centre for Strategic Research and Development of Georgia is a civil society organization with 19 years of successful work experience in the civil sector. The organization's legal status is Foundation.

Our activity area is the country of Georgia. Centre's head office is in Tbilisi and a branch office in Telavi.

Our main financing sources are grants received from international foundations and development agencies, while a small share of our budget comes from services (such as training and consultations) provided by our organization. (More details are presented in Financial Report, see Annex 5).

## OUR MISSION

The Centre for Strategic Research and Development of Georgia seeks to promote the development of civil society in Georgia by raising the awareness of the population, stimulating the active involvement of citizens in decision making processes, advocating the interests of various civic groups, supporting civic initiatives, and conducting applicable practical research. The Centre endeavours to support groups and individuals that promote social, political and economic reforms, and contribute to the development of efficient institutions for the protection of human rights.

In short: the mission of the organization is to build up civil society in Georgia by promoting mutual dialogue between the Government and citizens.

## THE MAIN SPHERES OF OUR ACTIVITIES

To fulfil its mission, the Centre has three long-term strategic objectives in relation to the country's population, Government and private sector:

- **მთავრობასთან** მიმართებით ცენტრის მიზანია კონსტრუქციული კრიტიკისა და საექსპერტო დახმარების გზით, ხელი შეუწყოს მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მთავრობის მიერ სტრუქტურული რეფორმების ეფექტურ ფორმულირებას და განხორციელებას;

- **კერძო სექტორთან** მიმართებით ცენტრი ხელს უწყობს ბიზნესის აქტიურ ჩართვას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში პასუხისმგებელი ბიზნესის კონცეფციისა და პრაქტიკის დამკვიდრებისა და მულტისექტორული პარტნიორობის განვითარების გზით.

ჩვენი აზრით, სამივე მიზანი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათ ერთობლიობას წვლილი შეაქვს **ქვეყნის მდგრად განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და დემოკრატიის მშენებლობაში.**

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- სამოქალაქო განვითარება;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა;
- გარემოს დაცვა;
- ხელისუფლების დეცენტრალიზაცია;
- მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;
- საბიუჯეტო პროცესები;
- მომხმარებელთა უფლებები;
- სოციალური მეწარმეობა;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

ცენტრის საქმიანობისას გამოყენებული ძირითადი მიდგომები და სტრატეგიებია:

- კვლევითი საქმიანობა „ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში (როგორც ცენტრის ექსპერტების მიერ, ასევე „ცენტრთან“ არსებული ექსპერტთა ქსელის დახმარებით)
- ცნობიერების ამაღლება და ინტერესთა

- CSRDG actively works with the public for awareness raising, promoting the involvement of stakeholders in decision-making processes, and helping the public to protect their interests.

- In relation to the Government, CSRDG's objective is to promote effective designing and implementation of structural reforms by the Government, with the active participation of the population.

- In relation to the private sector, CSRDG promotes the active involvement of the business in achieving sustainable development objectives by introducing the concept and practice of responsible business and developing multi-sector partnerships.

In our opinion, all three objectives are strongly interrelated and their conglomeration makes a serious contribution to the country's sustainable development, raising the quality of life and building democracy.

The main spheres of the Centre's activities under the strategic objectives are:

- Civic development;
- Community / rural development;
- Economy and social policy;
- Environment protection;
- Government decentralization;
- Increasing the municipalities' accountability and effectiveness;
- Budgetary processes;
- Consumer rights;
- Social enterprise;
- Corporate Social Responsibility.

For working in the above listed areas we apply various approaches and strategies, such as:

- Research in various areas related to CSRDG's activities (carried out by CSRDG's experts,

დაცვის კამპანიები

- ცენტრალური და ადგილობრივი დონის სახელისუფლებო უწყებების საქმიანობის მონიტორინგი
- საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება
- საექსპერტო მხარდაჭერა (ტრენინგები, კონსულტაციები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, სკოლების, ბიზნეს კომპანიებისათვის);
- სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება (თბილისისა და საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოფლის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისა)
- მიკროგრანტების გაცემა სოფლის საინიციატივო ჯგუფებისათვის ადგილობრივი პრობლემების მოგვარების მიზნით და სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მათი მდგრადობის განვითარების მიზნით
- პარტნიორული და კოალიციური მუშაობის ხელშეწყობა როგორც სამოქალაქო სექტორის შიგნით, ასევე სხვადასხვა სექტორს შორის.

## საქმიანობის გეოგრაფიული არეალი

ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრას „ცენტრი" კომპლექსურად უდგება და საქმიანობს როგორც ადგილობრივ (სოფელი, რაიონი), ასევე ეროვნულ დონეზე. კერძოდ, ცენტრის საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს დედაქალაქს - თბილისს, ასევე ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, თელავის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს აღმოსავლეთ საქართველოში, ოზურგეთის, ჩოხატაურის, აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებს დასავლეთ საქართველოში. ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში ორგანიზაცია უკვე მრავალი წელია ინტენსიურად მუშაობს, ხოლო ცალკეული პროგრამების ფარგლებში ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

as well as with the assistance of the experts' network formed at the Centre)

- Campaigns for awareness raising and advocacy
- Monitoring of Government activities on both the national and local levels
- Revealing legislative shortcomings and development of respective legislative amendments
- Expert assistance (training and consultations for civil organizations, civic groups, local governments and self-governments, public schools, and business companies)
- Strengthening of civil organizations (for civil organizations in Tbilisi and other regions of Georgia, and rural youth initiative groups)
- Provision of micro-grants for village initiative groups in order to solve local problems and to ensure sustainable development of civic organizations interested in social entrepreneurship;
- Promotion of partner and coalition work within the civil sector, as well as on the inter-sector level.

## GEOGRAPHIC COVERAGE OF OUR ACTIVITIES

CSRDG has a complex approach to solving problems facing the country, and carries out its activities on the local (village, district) as well as the national level. In particular, our activity area covers Tbilisi - the capital of Georgia; Lagodekhi, Sighnaghi, Telavi, Kvareli and Sagarejo municipalities in Eastern Georgia; and Ozurgeti, Chokhatauri, Abasha, Martvili, Senaki and Khobi municipalities in Western Georgia. The Centre has been intensively working in these municipalities for many years, while some of these programs are implemented by it on the whole territory of the country.

### *სამიზნე ჯგუფები:*

***ადგილობრივ დონეზე:***

- სოფლის სათემო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები;
- რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- საჯარო სკოლები;
- ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები).

***ეროვნულ დონეზე:***

- სახელისუფლებო სტრუქტურები და სახელმწიფო უწყებები;
- კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები;
- საჯარო სკოლები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნეს კომპანიები;
- სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
- მას-მედიის საშუალებები.

### *Our target groups:*

***On the local level:***

- Grassroots organizations (CBO and village initiative groups)
- Non-governmental organizations
- Public Schools
- Local governments (Municipalities).

***On the national level:***

- Government and State agencies
- Research institutions and collages/universities
- Public schools
- Non-governmental organizations
- Large and medium business companies
- Experts in various spheres
- The Media.

## 2013 წელი - ფაქტები და ციფრები

თანამშრომლები: 2013 წლის დასასრულს ორგანიზაციის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა იყო 24 (აქედან 22 თბილისის ოფისის თანამშრომელია და 2 - თელავის ოფისის).

## 2013 - FACTS AND FIGURES

Employees: At the end of 2013, the total number of the organization's employees was 24 (of these, 22 were employees of the Tbilisi office and 2 of the Telavi office).

**ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ლარებში**
**Core financial indicators in CEL**

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალი და რეზერვი 2013 წლის ბოლოსათვის (31.12.2013) არსებული მონაცემების მიხედვით) შეადგენდა: The organisations total capital (according to the available data at the end of 2013 (31.12. 2013) was | 678 672 |
| **მთლიანი შემოსავლები (წლების მიხედვით) ლარებში Total income (by years) in GEL** | |
| 2009 | 1185659 |
| 2010 | 1 386 585 |
| 2011 | 812 557 |
| 2012 | 1 031 187.2 |
| 2013 | 1 019 532 |

| მთლიანი შემოსავლები ძირითადი კატეგორიების მიხედვით<br>Breakdown of the sources of incom by major categories | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
| ინდივიდუალური, შემომწირველებისგან მიღებული თანხები<br>From individual contributions | 3000 | 13 316 | 15304 | 1500 | 813 |
| გაწეული სერვისებისგან მიღებული შემოსავალი<br>Income from services provided | 88034 | 128 864 | 128706 | 62807,58 | 95 788 |
| დონორებისგან მიღებული თანხები<br>Funding from donnors | 1088742 | 1244405 | 668550 | 965556,14 | 916 080 |
| სხვა შემოსავლები<br>Other income | 5883 | - | - | 1 323,5 | 6 851 |
| სულ შემოსავლები<br>TOTAL INCOME | 1185659 | 1386585 | 812557 | 1 031 187,22 | 1 019 532 |

**ჩვენი დონორები:** 2013 წელს ჩვენი დონორები იყვნენ:

- ეკლესიის განვითარების სააგენტო;
- პური მსოფლიოსთვის;
- გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა;
- ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“;
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;
- ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს პროგრამა „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“;
- თემის განვითარების ჟურნალის ფონდი.

***ჩვენი საქმიანობა (ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები):***

- 2013 წელს ვმუშაობდით თბილისსა და 11 მუნიციპალიტეტში (თელავის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში — აღმოსავლეთ საქართველოში, ჩოხატაურის, ოზურგეთის, აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში — დასავლეთ საქართველოში), ხოლო ზოგიერთი პროგრამის ფარგლებში — საქართველოს ყველა რეგიონში;
- ვახორციელებდით 7 საგრანტო პროექტს და 14 სერვის-კონტრაქტს;
- გამოვეცით 5 პუბლიკაცია (1 ბიულეტენი, 3 ბროშურა, 2012 წლის მდგრადი განვი-

**Our donors:** In 2013 our donors were:

- Church Development Service (EED);
- Bread For The World;
- UN Development Program;
- Open Society – Georgia Foundation;
- Eurasia Partnership Foundation;
- USAID program "Democratic Governance in Georgia";
- Delegation of the European Union to Georgia;
- Community Development Journal (CDJ).

***Our activities in 2013 (core quantitative indicators):***

- In 2013 we were working in Tbilisi and 11 municipalities (Telavi, Sighnaghi, Kvareli, Sagarejo and Lagodekhi in the Eastern Georgia, Chokhatauri, Ozurgeti, Abasha, Martvili, Senaki and Khobi in the Western Georgia). At the same time, we also had some nationwide programs;
- We were implementing 7 grant programs and 14 service contracts;
- 5 publications (1 bulletins, 3 brochures, and a 2012 sustainability report) were published by us.

თარების ანგარიში);

- დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაციებთან და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობით ჩავატარეთ 40 ტრენინგი.

კერძოდ, ტრენინგები ჩაუტარდა:

   – 11 თვითმმართველობას საქართველოს 11 რეგიონიდან;
   – 86 საზოგადოებრივ ორგანიზაციას (თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან)
   – 31 სოფლის სათემო ჯგუფების/ორგანიზაციის წევრებს საქართველოს 11 მუნიციპალიტეტიდან

- კონსულტაცია გავუწიეთ 53 ორგანიზაციას (11 მუნიციპალიტეტსა და 42 საზოგადოებრივ ორგანიზაციას)
- სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, რომელსაც წარმართავს ჩვენი ორგანიზაცია, საქართველოს 11 მუნიციპალიტეტს მიაწოდა მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები საბიუჯეტო პროცესებისა და გამჭვირვალობის საკითხებზე, რომელთაგან 88 გათვალისწინებულია.
- 52 755 ლარის ოდენობის მიკროგრანტი გავეცით 11 სათემო ჯგუფზე და ორგანიზაციაზე
- ჩავატარეთ სხვადასხვა აქტუალური საკითხის 54 საჯარო განხილვა
- საქართველოს რეგიონული ქსელის პარტნიორებთან ერთად მონიტორინგს ვუტარებდით 11 მუნიციპალურ ბიუჯეტს.

### *ცენტრის ძირითადი მიღწევები 2013 წელს*

2013 წელს "ცენტრმა" დაასრულა 2011-1013 სამწლიანი პროგრამით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება, ამიტომ წინამდებარე ქვეთავში საუბარი იქნება როგორც 2013 წლის ცალკეულ მიღწევებზე, ასევე 2011-2013 წლების პერიოდში მიღწეულ შედეგებზე.

- **ორგანიზაციის ბაზაზე წარმატებით ამოქმედდა თემის განვითარების რესურს ცენტრი, რომელიც ემსახურება საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოქმედ სოფლის სათემო ჯგუფებს/ორგანიზაციებს (დაწვრილებით იხილეთ გვ. 31).**

- Conducted 40 trainings independently or in cooperation with other invited experts.

In particular, trainings were conducted for:

   - 11 local governments from 11 regions of Georgia;
   - 86 civil society organizations (from Tbilisi and various regions of Georgia)
   - Members of 31 village initiative groups/organizations in 11 Georgian municipalities

- Provided consultations for 53 organizations (11 municipalities and 42 non-governmental organizations)
- The Civil Monitoring Network, which is led by our organization, provided numerous recommendations to 11 Georgian municipalities regarding budgetary processes and transparency issues. 88 of the recommendations were taken into account.
- 52 755 GEL worth micro-grants were awarded to 11 initiative groups and non-governmental organizations
- Organized 54 public hearing sessions on various important issues
- Together with partners from the Georgian regional network, monitored 11 municipal budgets.

### *Our main accomplishments in 2013:*

In 2013, CSRDG completed implementation of activities planned by 2011-2013 Three Year Programme. Thus, in the below section, we will address separate accomplishments in 2013, as well as the achievements during the 2011-2013 period.

- Community Development Resource centre successfully started operating on the organisation basis, providing services to community groups/organisations operating in Georgian municipalities (see detailed information on page 31). In particular, the resource centre:

კერძოდ, რესურს ცენტრმა:

- *აამუშავა ორენოვანი, მუდმივად განახლებადი, საინფორმაციო ვებპორტალი თემის განვითარების საკითხზე – www.cdrc.ge;*
- *მოამზადა ქვეყნის მაშტაბით მოქმედ სათემო ორგანიზაციათა განახლებადი მონაცემთა ბაზა, რომელზეც ინფორმაცია და შესატყვისი რუქა განთავსებულია რესურს ცენტრის ვებპორტალზე;*
- *შექმნა თემატური საინფორმაციო-ელექტრონული ჟურნალი და ფეისბუკზე სპეციალიზებული გვერდი;*
- *დაინტერესებული სათემო ორგანიზაციებისათვის ქვეყნის მაშტაბით ჩაატარა ერთობლივი ტრენინგები, სემინარები და გამოცდილების გაზიარებითი ღონისძიებები.*

- **„ცენტრის" მიერ მხარდაჭერილი 12 სამიზნე სათემო ახალგაზრდული ცენტრის შეფასებამ აჩვენა სათემო ცენტრების საქმიანობის მაღალი ეფექტურობა და სტაბილური განვითარების მზარდი ტენდენცია** (დაწვრილებით იხილეთ გვ. 38). ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ:

  - *სათემო ახალგაზრდული ცენტრები ადგილობრივ მოსახლეობას რეალურ დახმარებას და საჭირო მომსახურებას სთავაზობენ;*
  - *სათემო ცენტრების ბაზაზე ამოქმედდა სხვა ორგანიზაციების პროგრამები და პროექტები, პროგრამით მომზადებული სათემო ლიდერები იქცნენ სხვა ინიციატივებისათვის დასაყრდენ ძალად; 2013 წელს ახალ ინიციატივებში აქტიური ჩართვის შედეგად მათ მიერ 5 თემის მოსახლეობისთვის (15 100 ადამიანისთვის) შეთავაზებული მომსახურება უფრო მრავალფეროვანი და ხარისხიანი გახდა. 2013 წელს ახალი მომსახურებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობამ 5 884 შეადგინა;*
  - *სათემო ცენტრებმა მიაღწიეს ფინანსურ მდგრადობას და დამოუკიდებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამიდან მათი დაფინანსება ნელ-ნელა მცირდებოდა, 2013 წლისათვის სათემო ცენტრების საერთო ბიუჯეტი (დაფინანსების ალტერნატიული წყაროების*

- *put to operation a bilingual, permanently renewable information web-portal on community development issues – www.cdrc.ge;*
- *prepared an updated database on the community based organisations operating throughout the country. Information and respective map of the organisations is posted on the resource centre web portal;*
- *created a thematic information-electronic journal and a special Face-book page;*
- *held joint trainings, seminars and experience sharing events nationwide for interested community based organisations.*

- **Evaluation of 12 target community youth organisations supported by CSRDG revealed high effectivity of the community centres activities and an increasing tendency of stable development (see detailed information on page 38). The following facts indicated to this:**

  - *Community Youth Centres offer the local residents real assistance and necessary services;*
  - *Programmes and projects of other organisations started on the basis of the community centres, and leaders prepared by the programme, turned into a support force for other initiatives; as a result of getting actively involved in new initiatives in 2013, services offered by them to residents of five communities (15100 people) became more diverse and of a higher quality. In 2013, the number of beneficiaries using the new services made 5 884 people;*
  - *Community Centres achieved financial sustainability and independence. Keeping in mind that their funding from the Program was being gradually decreased,*

*ხარჯზე) 2011 წელთან შედარებით გაიზარდა 34%-ით;*

- *სათემო ცენტრები სოფლის მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტებთან და ადგილობრივ ბიზნესთან თანამშრომლობით მყარ ზეგავლენას ახდენენ ადგილობრივი პრობლემების ეფექტურად მოგვარების პროცესზე. სათემო ახალგაზრდული ცენტრების ძალისხმევით 2011-2013 წლებში 12 სამიზნე თემში სათემო ცენტრების მიერ გადაიჭრა 176 ადგილობრივი პრობლემა, აქედან 123 მოგვარდა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ხოლო 53 საკუთარი ძალებით და სხვადასხვა ფონდებიდან თანხების მოზიდვის გზით. კერძოდ, სხვა ფონდებიდან მოძიებული თანხების რაოდენობამ 277 220 ლარი შეადგინა. შედეგად 12 თემში მცხოვრები 25 860 ადამიანის საცხოვრებელი გარემო გაუმჯობესდა.*

- **„ცენტრმა" ადგილობრივ ორგანიზაციებში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო საქართველოში სოციალური მეწარმეობის მცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა "სოციალური მეწარმეობის ცენტრი"** (დაწვრილებით იხილეთ გვ. 43), რომელმაც:
  - *დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის შეიმუშავა ჩვენ რეალობაზე მორგებული ტრენინგებისა და კონსულტაციების ფართო პაკეტი, ასევე გამოსცა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო;*
  - *სხვადასხვა სექტორებში გაზარდა სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესების ხარისხი. ამ მხრივ "ცენტრი" აქტიურად მუშაობდა: აკადემიურ წრეებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, დონორებთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან და პენეტენციალური სისტემის ინსტიტუტებთან. აღსანიშნავია, რომ "ცენტრის" ძალისხმევის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ კონკურსს*

*in 2013, total budget of the Community Centres increased by 34% as compared to 2011 (at the expense of alternative funding sources);*

- *In cooperation with village residents, municipalities and local businesses, community centres strongly influence the process of resolving local problems effectively. With the efforts taken by community youth centres, in 2011-2013, 176 local problems were resolved in 12 target municipalities, out of which, 123 problems were solved with fundings from the local budgets, and 53 problems were solved with own resources and finances attracted from various funds. In particular, the funds attracted from other sources made 277 220 GEL. As a result, living conditions were improved for 25 860 persons.*

- CSRDG was one of the first local organisations that started introduction of Social Entrepreneurship in Georgia and promotion of practical activities in its support. In order to achieve the mentioned goal, Centre for Social Entrepreneurship was established on the basis of our organisation, (see more detailed information on page 43) which:
  - *for interested persons and organisations, developed a wide range of trainings and consultations adapted to our reality, and published the first Georgian language handbook;*
  - *Increased the level of interest in various sectors towards social enterprising. With this respect, CSRDG was actively working with: academic circles; civil society organisations; donors; the Ministry of Labor, Health and Social Protection; the Ministry of Sports and Youth Affairs; local self-governments and penitentiary system institutions. It should be noted that, with efforts taken by CSRDG, an annual com-*

*– "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" - რომელშიც მონაწილეობენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. კონკურსში - "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2013" - მონაწილეობა მიიღო 140-მა სტუდენტმა, აქედან 12 სტუდენტი მოხალისეობრივ საწყისებზე აქტიურად ჩაერთო 3 სოციალური საწარმოს მარკეტინგული პრობლემების მოგვარებაში. სტუდენტების მიერ შემუშავებული პროექტების განხორციელების საწყის ეტაპზე ჩატარებულმა მარკეტინგულმა ღონისძიებებმა პირველივე თვეებში გაზარდა სოციალური საწარმოების გაყიდვები და მოუტანა დამატებითი მოგება 10%-დან 20%-მდე. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდა მათ ბენეფიციარებს, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ლეიკემიით დაავადებული ბავშვები და მათი მშობლები.*

- *საგულისხმო შედეგებს მიაღწია სოციალური მეწარმეობის პრაქტიკის დამკვიდრების და ახალი სოციალური საწარმოების დაფუძნების მიმართულებით. კერძოდ: საფუძველი ჩაუყარა 12 სოციალური საწარმოს ამოქმედებას, აქედან 7 სტაბილურად და წარმატებით ფუნქციონირებს, 3 გაძლიერების, ხოლო 2 განვითარების საწყის ეტაპზეა. ამჟამად საწარმოებში დასაქმებულია შრომის ბაზარზე დაბალი კონკურენტუნარიანობის მქონე 40-ზე მეტი ადამიანი, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები, ბავშვთა სახლების ყოფილი აღსაზრდელები, დევნილები, ხანგრძლივად დაუსაქმებელი ადამიანები და სხვა.*
- *ხელს უწყობდა სოციალური საწარმოების ქსელურ საქმიანობას, შედეგად გამოცდილების გაზიარების და კოორდინირებული მოქმედების მიზნით საფუძველი ჩაუყარა ქართული სოციალური საწარმოების ყოველწლიურ ერთობლივ შეხვედრებს. გარდა ამისა, ეწეოდა დამწყები და გამოცდილი სოციალური მეწარმეების ინფორმაციულ მხარდაჭერას საინფორმაციო-ანალი-*

*petition - Students in Support of Social Entrepreneurship - was launched, with students from Tbilisi higher education facilities taking part. 140 students participated in the competition Students in Support of Social Enterprising 2013. Out of them, 12 students got actively involved in volunteering to solve marketing problems of three social enterprises. Marketing activities carried out by the students at the initial stage of projects developed by them increased the sales of those enterprises already in the first few months and brought 10-20% additional profit. It is important that the revenue received from the enterprises was spent on their beneficiaries - people with limited abilities, children with leukaemia and their parents;*

- *Achieved notable results in the introduction of social enterprising practices and creation of new social enterprises. In particular: gave basis to the operation of 12 social enterprises, out of which, 7 enterprises operate stably and successfully, 3 of them are in the process of strengthening, and 2 more are on the initial stage of their development. Currently, the enterprises give jobs to more than 40 individuals that are lower competitive on the labor market, such as: people with limited abilities, female victims of domestic violence, former pupils of orphanages, IDPs, people with long unemployment history, etc;*

- *Was promoting network activities of social enterprises. As a result, for the sake of experience sharing, it gave a start to annual joint meetings of Georgian social entrepreneurs. Besides, it was providing information support to beginning and experienced social entrepreneurs through informative-analytical web portal www.cse.ge, electronic thematic journal and social network media.*

*ტიკური ვებ-პორტალის – www.cse.ge, ელექტრონული თემატური ჟურნალის და სოციალური ქსელის საშუალებით.*

- **“ცენტრის” თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად (დაწვრილებით იხილეთ გვ. 55) საგრძნობლად გაუმჯობესდა სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობა, კერძოდ:**

  - *სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობის სტანდარტები მიუახლოვდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ, ასევე გაუმჯობესდა მდგომარეობა საბიუჯეტო პროცესების ვადებისა და პროცედურების დაცვის მიმართულებით;*
  - *სამიზნე მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელება, უფრო მიზნობრივი გახდა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვა, შედეგად გაიზარდა მოგვარებული ადგილობრივი პრობლემების რიცხვი. კერძოდ: ერთ-ერთ სამიზნე მუნიციპალიტეტში 300 000 ლარით გაიზარდა ბაღების დაფინანსება. შედეგად სამიზნე მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში გაუმჯობესდა პირობები და მომდევნო წელს ბაღებში ბავშთა რაოდენობამ მოიმატა. მუნიციპალურ ბიუჯეტში ამ კონკრეტულმა ცვლილებამ სამიზნე მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესა; კახეთის 8-დან 7 მუნიციპალიტეტში ახალი ჯანდაცვითი და სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რეგიონში მცხოვრები 50%-ზე მეტი მოსახლეობის სოციალური მომსახურების ხარისხი და ა.შ;*
  - *გაიზარდა მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების, დამტკიცების, აღსრულების და ანგარიშგების ეტაპებზე;*
  - *ჩამოთვლილი შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდა “ცენტრის” მიერ ჩამოყ-*

- **As a result of the activities implemented under CSRDG Self-Governance Development Program (for more details, see page 55), activities of the target municipalities have improved considerably. In particular:**

  - *Activity standards of the target municipalities have been brought closer in line with the requirements of the Georgian legislation regarding transparency and accountability. Situation with regards to meeting the timelines and procedural requirements of the budgetary processes has also improved.*

  - *In the target municipalities, implementation of programs envisaged by the local budgets has improved considerably, spending of money allocated from the local budgets has become more targeted. As a result, the number of resolved problems has increased, Namely:* In one of the target municipalities, funding of kindergartens increased by 300 000 GEL. As a result, conditions improved in all kindergartens of the target municipality and the number of children attending the kindergartens increased the following year. This specific change in the municipal budget has improved quality of life of more than 50% residents of the target municipality; As a result of developing new healthcare and social assistance programs in 7 out of the 8 Kakheti municipalities, the level of social services of more than 50% of residents in the region has improved considerably, etc.
  - *Citizens involvement in the formation, approval, execution and reporting stages of the self-governed entity budgets has increased;*
  - *Accomplishment of the listed results became possible as a result of effective and successful activities of the Civili Monitoring Network created by CSRDG. Beside*

ალიზებული სამოქალაქო მონიტორინგ-ის ქსელის ეფექტიანი და წარმატებული ფუნქციონირების შედეგად. ქსელში "ცენტრთან" ერთად ჩართულია კახეთის და გურიის რეგიონალური პარტნიორი ორგანიზაციები;

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში წლების განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი ეროვნულ დონეზე პრობლემების განზოგადოების და მათ მოგვარებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი გახდა. ასე მაგალითად: "ცენტრის" ექსპერტებმა, 2013 წელს განხორციელებული "სოფლის განვითარების პროგრამის" მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც წარედგინა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. სამინისტრომ რეკომენდაციების უმეტესობა მოიწონა და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მათი გათვალისწინება, რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება სოფლებში განხორციელებულ პროექტების მიზანმიმართულობაზე, ადეკვატურობაზე და ფინანსური მართვის საჯაროობაზე;
- გარდა ამისა, „ცენტრი" საერთაშორისო დონეზე აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და პროექტებში. ორგანიზაციის ბოლოდროინდელი ინიციატივები, მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე მმართველობის სისტემის რეფორმის საჭიროებების იდენტიფიცირებას და ასევე ამ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით არსებული პრობლემების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. აღნიშნული მასალა საფუძვლად დაედო აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დაფუძნებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის მიმართვას (მემ-

CSRDS, our regional partner organisations from Kakheti and Guria are switched to the Network;

- Analysis of the results of monitoring carried out throughout the years in the target municipalities has become a basis for problem generalisation to the national level and development of recommendations for their solving. For example: based on the analysis of Rural Development Program results monitoring conducted in 2013, CSRDG experts developed a package of recommendations that was presented to the Ministry of Regional Development and Infrastructure. The Ministry approved majority of the recommendations and requested their consideration from all Georgian municipalities, which, eventually, will make a positive impact on the purposefulness of the programs implemented in the villages, their adequacy and financial management publicity;
- Besides, on international level, CSRDG was actively participating in local self-governance related initiatives and projects. In cooperation with local non-governmental organisations, CSRDG most recent initiatives were aimed at identification of the needs of reforms on the regional and municipal levels in the Eastern Partnership Countries, as well as at revealing of problems regarding citizens participation in the local self-governance in those same States and development of respective recommendations. The mentioned materials became a basis for the Address (Memorandum) of the Forum of Civil Society organisations established in the Eastern Partnership Countries to the Eastern Partnership Local and Regional Management Assembly created by the EU Committee of Regions. Besides, recommendations were developed, presented and discussed at the meeting of Eastern Partnership Civil Society Organisations Forum.

*ორანდუმს) ევროკავშირის რეგიონების კომიტეტის მიერ დაფუძნებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ასამბლეის მიმართ. გარდა ამისა, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარდგენილი და განხილული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის შეხვედრაზე.*

- „ცენტრი“ იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი თანაკოორდინატორი. 2012-2013 წ.წ. ჯგუფმა განახორციელა წარმატებული ადვოკატირების კამპანია გარემოსდაცვით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების წინააღმდეგ (მთავრობას, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ბიზნესოპერატორების გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობა მიეცა.), არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი მთავრობამ დააკმაყოფილა და კანონის შესაბამისი ცვლილებები გაუქმდა;

- “ცენტრი” აქტიურად მუშაობს, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ადეკვატურად ასახვის ხელშეწყობის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენის და მათზე რეაგირების მიმართულებით (დაწვრილებით იხილეთ გვ. 69). 2011-2013 წ.წ. „ცენტრის“ მიერ ამ მხრივ განხორციელებულმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამდენიმე კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილების მიღებაში, რამაც, საბოლოო ჯამში, მომხმარებლისთვის სურსათის ბაზრის უსაფრთხოების ხარისხის ზრდა განაპირობა. მაგ.:

  - *სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინა ,,ცენტრის” მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდებოდა „სურსათის/*

- **CSRDG was one of the co-coordinators of the 3rd work group of Eastern Partnership Civil Forum National Platform. In 2012-2013, the group carried out a successful advocacy campaign against changes made in the environmental legislation (the Government, in return for a certain sum, became able to exempt business operators from environment protection responsibilities). The Government satisfied the protest of non-governmental organisations, and annulled respective changes in the law;**

- **CSRDG is actively working on the one hand to promote adequately reflect customers right protection issues in the Georgian legislation, and, on the other hand, to reveal customers right violation cases and react to them (for more details, see page 69). In 2011-2013, activities carried out by CSRDG in this area made important contribution in the adoption of several specific legislative changes, which, eventually, resulted in the increase of food market safety for the customers. For example:**

  - *The Ministry of Agriculture considered recommendations developed by CSRDG regarding the changes to be made to the Law on Food/Animal Food Safety, Veterinary and Plants Protection. Namely: an article on the protection of customers rights and interests has been added to the draft law prepared by the Ministry; transparency of State control has increased; the law draconic requirement has been annulled, according to which, the National Agency on Food Safety was to consider customers complaints only if the customer would provide results of the food product laboratory testing and respective medical report on food poisoning; etc.*

  - *As a result of CSRDG initiative, from*

ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტ-ერინარიისა და მცენარეთა დაცვის" კანონპროექტში შესატან ცვლილებებს. კერძოდ: სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს დაემატა ცალკე მუხლი მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, გაიზარდა სახელმწიფო კონტროლის შედეგების გამჭვირვალობა, გაუქმდა კანონის დრაკონული მოთხოვნა, რომლის მიედვით სურსათის ეროვნული სააგენტოს მომხმარებელთა საჩივრები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განეხილა, თუკი მომხმარებელი საჩივართან ერთად სურსათის ლაბორატორიული შემოწმების დასკვნას და მოწამვლის თაობაზე ექიმის ცნობას წარმოადგენდა, და სხვა;

- "ცენტრის" ინიციატივით 2013 წლის დასაწყისიდან ევროინტეგრაციის კომიტეტმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ექსპერტი და რომელმაც კანონპროექტის მომზადებაზე 10 თვე იმუშავა. 2013 წლის დეკემბერში, საჯარო შეხვედრაზე, კანონპროექტის პრეზენტაცია გაიმართა. კანონის რატიფიცირება 2014 წელს იგეგმება;
- "ცენტრი" აქტიურად მუშაობს სურსათის უვნებლობის სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების დახვეწის მიმართულებით. "ცენტრის" ინიციატივით მომზადდა პეტიცია რძის პროდუქტების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. 2013 წლის დეკემბერში პეტიცია წარედგინა პარლამენტს, ისეთი კანონის მიღების მოთხოვნით, რომელიც აკრძალავს რძის პროდუქტის დასახელებით ისეთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვას, რომლის არსებითი კომპონენტები (მ.შ. ცხიმი, ცილა) არა ცხოველის რძისგან, არამედ სხვა ნედლეულისგან არის დამზადებული. 2013 წლის დეკემბერში, სწორედ ამ პეტიციის საჯარო ხელმოწერის ფონზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო რძის პროდუქტებისათვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ტექნიკური რეგლამენტის მომზადება;
- შეიქმნა და მომხმარებლებისთვის სანდო გახდა ინტერაქტიური ვებგვერდი

the beginning of 2013, the Euro Integration Committee created a work group, in which our expert was involved actively and worked during 10 months on drafting the law. At the public meeting held on December, 2013, presentation of the draft law was held. The law is planned to be ratified in 2014;

- CSRDG is actively working on issues to improve food safety standards and technical requirements. Based on CSRDG initiative, a petition against dairy products falsification was prepared. In December 2013, the petition was presented to the Parliament, requesting to pass such law that would ban labelling and selling of products as "dairy" when the main ingredients (e.g. fat, protein) are made from other materials instead of animal milk. In December 2013, at the background of public signing of the petition, a work group was set up in the Ministry of Agriculture, which started preparation of technical requirements for dairy products based on international standards;

- An interactive web-page www.momxmarebeli.ge was created and gained customers trust. On this web-site, interested persons are able to get familiar with customer rights, or violations of these rights, as well as to place their comments and personal experience regarding violation of the mentioned rights. The fact that the number of the web-site daily visitors ranges between 400 to 2000 indicate to the popularity and trustworthiness of the web-site. Each year, on the average up to 100 products were being tested upon the customers request. More than 1/3 of the revealed violations have been fixed and improved owing to efforts by CSRDG experts.

*www.momxmarebeli.ge, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ გაეცნონ მომხმარებლის უფლებებს, ამ უფლებების დარღვევის ფაქტებს, ასევე განათავსონ კომენტარები და პირადი გამოცდილება აღნიშნული უფლებების დარღვევის შესახებ. ვებგვერდის პოპულარობაზე და სანდოობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ვიზიტორთა რაოდენობა მერყეობს დღეში 400-დან 2000-მდე. ყოველწლიურად მომხმარებელთა მოთხოვნით მოწმდებოდა საშუალოდ 100-მდე სახეობის პროდუქტი, რომლებშიც გამოვლენილი დარღვევების 1/3-ზე მეტი გამოსწორდა ,,ცენტრის" ექსპერტების ძალისხმევის შედეგად.*

- **2011-2013 წ.წ. "ცენტრი" აქტიურად მუშაობდა ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მიმართულებით, როგორც სამთავრობო სტრუქტურებთან, შესაბამისი ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, ისე უშუალოდ მსხვილ ბიზნეს კომპანიებთან მათი ცნობიერების ამაღლებისა და ექსპერტიზის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ:**

  - *მომზადდა და ცალკე წიგნად გამოიცა ანალიტიკური კვლევა ,,კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი (ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას)";*
  - *,,ცენტრის" ექსპერტის მიერ მომზადებული სალექციო კურსი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე გახდა სავალდებულო კავკასიის ბიზნესსკოლის სტუდენტებისათვის. აღნიშნული კურსი უნივერსიტეტში მიყავს "ცენტრის" თანამშრომელს;*
  - *მომზადდა და გამოიცა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის.*

- **In 2011-2013, CSRDG was actively working for the introduction of corporate social responsibility in the country. Its activities involved work with government structures in order to develop a respective promoting policy, as well as directly with large businesses, aimed at raising their awareness and ensuring accessibility of the expertise. In particular:**

  - *An analytical study - Corporate Social Responsibility and the Role of the Public Sector (Analytical Review and Recommendations to the Government of Georgia) - was prepared and published as a separate book;*
  - *A course of lectures on corporate social responsibility developed by CSRDG expert became a mandatory class for students of Caucasus School of Business. The mentioned course is held in the University by a CSRDG staff member;*
  - *The first Georgian language handbook for Georgian universities on corporate social responsibility was prepared and published.*

# 2 ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

„ცენტრის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი იმგვარად არის აწყობილი, რომ უზრუნველყოს ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა ცალსახა გადანაწილება და ყველა თანამშრომლის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა

ორგანიზაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელიც უზრუნველყოფს საწესდებო მიზნების განხორციელებას; ამტკიცებს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, პროგრამებს, მათი განხორციელების ვადებსა და ხარჯთაღრიცხვას; ისმენს გამგეობის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის წლიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ; ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს; ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსების განკარგვას; აკონტროლებს იურიდიული და საბუღალტრო მოთხოვნების დაცვას.

გამგეობა შედგება 5 წევრისაგან. მათგან 3 წევრი არის ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი წევრი, ხოლო ორი — ორგანიზაციის თანამშრომელი (კერძოდ, გამგეობის წევრები არიან ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის კოორდინატორი).

გამგეობის თავმჯდომარე იმავდროულად არის ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორიც.

In 2013, the Community Development Program continued to support and strengthen the 11 active community youth centres created in the previous years, so that they are better able to bring forward the village interests and lobby about these to local governments. It should also be mentioned here that 10 community centers got involved in CSRDG new program Strengthening of “Empowering Women for Change”, which was launched in 2013 and is aimed at women’s equality, promotion of their economic and civic activeness in Samegrelo and Kakheti regions. Respectively, geographic coverage of the Community Development Programme was expanded, and Samegrelo region was added to Kakheti region. Overall, 31 community groups are involved in the new program - 10 of those existing previously and 21 new ones. It is important, that newly created community centers are groups of female leaders (179 leader women from 8 municipalities: 94 from Kakheti and 85 from Samegrelo).

Workshops and consultations held with the community centres, Program experts prepared one year action plans for each centre’s activities.

Under this Program, experts were constantly holding consultations and workshops for the community youth centres on such issues as: registration of an organisation, financial accountability, project writing, reporting and management issues, self-evaluation, planning, strengthening ‘initiative groups’, planning and organising of joint events between community groups, organization of presentations for various agencies, participation in the activity of public boards at the municipalities, etc.

Besides, workshops were held for 26 female community groups involved in the “Empowering Women for Change” programme, and, as

სამუშაო შეხვედრები, რომელთა შედეგად ქალბატონებმა მოამზადეს ადგილობრივი პრობლემების ამსახველი პრეზენტაციები თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის. ამის შემდგომ ქალბატონები აქტიურად ჩაერთვნენ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, კერძოდ ჩაატარეს 59 შეხვედრა ადგილობრივ მთავრობასთან და წარუდგინეს მომზადებული პრეზენტაციები. შედეგად პრეზენტაციებში აღწერილი 51 პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია 2014 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში.

a result, the women prepared presentations on local problems for representatives of self-governments. Afterwards, the women got actively involved in the local budget formation process - in particular, they held 59 meetings with local governments and presented their presentations to them. As a result, funds that are needed to solve 51 problems outlined in the presentations are envisaged in the 2014 local budgets.

**2013 წელს ქალთა სათემო ჯგუფების ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესებში აქტიური ჩართულობის შედეგად 26 თემის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება, რადგანაც ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიწოდებული პრობლემებიდან 51-ის გადაჭრისთვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია 2014 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში. 8 მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებმა გამოყვეს 515 285 ლარის ოდენობის თანხები, რომლითაც მოგვარდება 26 თემში მცხოვრები 399 092 ადამიანის შემდეგი საჭირბოროტო საკითხები: შიდა გზების შეკეთება, მდინარის ჯებირების გამაგრება, სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, ქალთა შეხვედრების ადგილების მოწყობა, პარკების და სკვერების მოწყობა, ნაგვის კონტეინერების დამონტაჟება, სპონტანურად შექმნილი ნაგავსაყრელები ნაგვისგან გაწმენდა, ქუჩის განათების მონტაჟი, სადრენაჟო სისტემების გაყვანა, სოფლებსა და ქალაქებს შორის მოსახლეობის უპრობლემო გადაადგილებისთვის სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა და მათი გადაადგილების განრიგის შედგენა.**

**IN 2013, AS A RESULT OF ACTIVE INVOLVEMENT OF WOMEN'S COMMUNITY GROUPS IN THE LOCAL BUDGETING PROCESSES, QUALITY OF LIFE OF 26 COMMUNITY RESIDENTS WILL IMPROVE, BECAUSE NECESSARY FUNDING TO SOLVE 51 IDENTIFIED LOCAL PROBLEMS ARE ENVISAGED IN THE 2014 LOCAL BUDGETS. LOCAL GOVERNMENTS OF 8 MUNICIPALITIES HAVE ALLOCATED GEL 515 285, THAT WILL SOLVE PROBLEMS OF 399 092 PEOPLE LIVING IN 26 COMMUNITIES: REPAIR OF INNER ROADS, STRENGTHENING OF RIVER EMBANKMENTS, REPAIR OF POTABLE WATER SUPPLY SYSTEMS; ARRANGING PLACES FOR WOMEN'S MEETINGS; ARRANGING OF PARKS AND SQUARES; INSTALLING GARBAGE BINS; CLEANING GARBAGE FROM SPONTANEOUS LANDFILLS; INSTALLING STREET LIGHTS; BUILDING DRAINAGE SYSTEMS; PROVIDING TRANSPORT FOR RESIDENTS TO FREELY COMMUTE BETWEEN VILLAGES AND TOWNS AND MAKING THEIR TIMETABLE.**

რეგულარულად ტარდებოდა სათემო ახალგაზრდული ცენტრების საანგარიშო რეგიონალური შეხვედრები, რომლებზეც ცენტრები საუბრობდნენ მიღწეულ შედეგებსა და წარმატებებზე, აწყობდნენ ფოტო-ვიდეო მასალით გამდიდრებულ პრეზენტაციებს, აგრეთვე განიხილავდნენ საერთო პრობლემებსა და მათი დაძლევის შესაძლო გზებს.

Regional reporting meetings of the community youth centres were also held regularly, discussing the achievements and success, holding presentations enriched with photo and video materials, talking about common problems and possible ways of overcoming them.

**პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული და გაძლიერებული სათემო ახალგაზრდული ცენტრების ძალისხმევით 2011-2013 წლებში 12 სამიზნე თემში სათემო ცენტრების მიერ გადაიჭრა 176 ადგილობრივი პრობლემა, აქედან 123 მოგვარდა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ხოლო 53 საკუთარი ძალებით და სხვადასხვა ფონდებიდან თანხების მოზიდვის გზით. კერძოდ, სხვა ფონდებიდან მოძიებული თანხების რაოდენობამ 277 220 ლარი შეადგინა. ასეთი პროექტებით ჩატარდა შემდეგი ტიპის საქმიანობები: სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება (მოსახლეობისა და სკოლისათვის); სპორტული ღონისძიებების ორგანიზება; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგები/სემინარები/ხელსაქმის კურსები); მოსახლეობის მომსახურება (კომპიუტერული/საბანკო); სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა (სამკერვალოს გაძლიერება, მეფუტკრეობა) შედეგად 12 თემში მცხოვრები 25 860 ადმიანის საცხოვრებელი გარემო გაუმჯობესდა.**

**WITH THE EFFORTS TAKEN BY COMMUNITY YOUTH CENTERS ESTABLISHED AND STRENGTHENED UNDER THE PROGRAM, 176 LOCAL PROBLEMS WERE SOLVED IN 2011-2013 IN 12 TARGET MUNICIPALITIES. OUT OF THOSE, 123 PROBLEMS WERE SOLVED BY LOCAL BUDGET FUNDING, AND 53 PROBLEMS WERE TACKLED USING OWN RESOURCES AND MONEY ATTRACTED FROM VARIOUS FUNDS. IN PARTICULAR, THE SUM ATTRACTED FROM OTHER FUNDS MADE GEL 277 220. THE FOLLOWING TYPES OF WORK WERE CARRIED OUT UNDER THOSE PROJECTS: SOLVING POTABLE WATER PROBLEM (FOR RESIDENTS AND A SCHOOL); HOLDING SPORTS EVENTS; ASSISTANCE TO INFORMAL EDUCATION (TRAININGS/SEMINARS/HANDICRAFT COURSES); SERVICES PROVIDED TO THE RESIDENTS (COMPUTER/BANKING); PROMOTION OF SOCIAL ENTERPRISING (STRENGTHENING A SEWING ENTERPRISE, BEE-KEEPING). AS A RESULT, LIVING ENVIRONMENT OF 25 860 RESIDENTS OF 12 COMMUNITIES WERE IMPROVED.**

**სათემო ცენტრების საქმიანობის შეფასება**

წლის ბოლოს სათემო ცენტრებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრები, განხორციელებული საქმიანობის შეფასებაზე მათი პროგრამული ინდიკატორებისა და შესრულებული საქმიანობების ხარისხის გათვალისწინებით.

შიდა შეფასებამ სათემო ცენტრების საქმიანობის მაღალეფექტიანობა და სტაბილური განვითარების მზარდი ტენდენცია აჩვენა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ:

სათემო ცენტრებმა დამოუკიდებლად, პროგრამის დახმარების გარეშე, განახორციელეს 38 ინიციატივა. ამაში იგულისხმება სხვა ფონდებიდან და მუნიციპალიტეტებიდან პრობლემების გადასაჭრელად მოპო-

**Evaluation of the Community Centres' Activities**

At the end of the year, evaluation workshops were held for community centres to discuss their program indicators and the quality of their work. In addition, an external evaluation was also carried out using public opinion surveys

The internal evaluation showed a high effectiveness and a growing trend of a stable development. The fact that the community centres independently accomplished 38 initiatives without assistance from the Program proves the above statement. These include the funding received from other foundations and munici-







ვებული დაფინანსება და ასევე პრობლემები, რომლებიც, სათემო ცენტრების ინფორმაციაზე დაყრდნობით, თვითმმართველობებმა მოაგვარეს.

სათემო ახალგაზრდული ცენტრები ყოველწლიურად ათეულობით ადგილობრივ პრობლემას აგვარებენ მათი მუნიციპალიტეტებთან პროაქტიური თანამშრომლობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გზით.

სათემო ცენტრები სხვა ორგანიზაციების პროექტებისა და პროგრამებისთვის დასაყრდენ ძალად იქცნენ. მაგალითად: "კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" 2012 წელს ქვეყნის მასშტაბით ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამით იგეგმებოდა სამიზნე სოფლებში "სოფლის კომპიუტერული მომსახურების" ცენტრების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობდა ტექნიკით უზრუნველყოფას და ცენტრების თანამშრომლებისათვის ტექნიკური ტრენინგების ჩატარებას. შესაბამისად აქტუალური გახდა კომპიუტერული ცენტრების განსათავსებლად ადგილზე სივრცის მოძიება. ჩვენი ორგანიზაციის სამიზნე სოფლებში განთავსებულმა ხუთმა სათემო

palities to solve local problems, as well as those problems that were solved by municipalities based on the information received from community centres.

Each year, community youth centers solve tens of local problems by their proactive cooperation with municipalities and engagement in decision making processes.

Community centers have become a relying force for projects and programs run by other organizations. For example, in 2012, Computer Knowledge Spreading Society started implementation of a new nationwide project. The program had envisaged establishment of Village Computer Service Centers in rural settlements, supposed to provide computer equipment and hold technical trainings for the staff of the centers. Respectively, finding office space for computer centers became relevant. Five community centers in our target villages offered the program to arrange computer centers in their premises. As a result, in 2013, community youth centers

**სათემო ახალგაზრდული ცენტრები ადგილობრივ მოსახლეობას რეალურ დახმარებას და საჭირო მომსახურებას სთავაზობენ. 2013 წელს ახალ ინიციატივებში აქტიური ჩართვის შედეგად მათ მიერ 5 თემის მოსახლეობისთვის (15 100 ადამიანისთვის) შეთავაზებული მომსახურება უფრო მრავალფეროვანი და ხარისხიანი გახდა. კერძოდ სოფლის მოსახლეობას შეეძლო: სერტიფიცირებულ კომპიუტერული კურსების გავლა, ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა, რამოდენიმე სახეობის საბანკო მომსახურების მიღება, კერძების მომზადების და ქარგვის ვიდეო გაკვეთილებზე დასწრება. 2013 წელს ახალი მომსახურებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობამ 5 884 შეადგინა. მსგავსი ტიპის საქმიანობა ადგილობრივ მოსახლეობას დამატებითი ცოდნის მიღებაში და უნარ-ჩვევების გაღრმავებაში ეხმარება, რაც თავის მხრივ ამ ადამიანების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას ზრდის და საკუთარი თავის თვითრეალიზაციის შესაძლებლობას აძლევს.**

**COMMUNITY YOUTH CENTERS OFFER LOCAL RESIDENTS REAL ASSISTANCE AND NECESSARY SERVICES. IN 2013, BY GETTING ACTIVELY INVOLVED IN NEW INITIATIVES, THEIR SERVICES OFFERED TO RESIDENTS OF 5 COMMUNITIES (15 100 INDIVIDUALS) BECAME MORE DIVERSE AND OF A BETTER QUALITY. NAMELY, VILLAGE RESIDENTS WERE ABLE TO: UNDERGO CERTIFIED COMPUTER COURSES, GET UNLIMITED INTERNET ACCESS; GET SEVERAL TYPES OF BANKING SERVICES; ATTEND FREE COOKING AND EMBROIDERING CLASSES. IN 2013, THE NUMBER OF PEOPLE USING NEW SERVICES MADE 5 884 PERSONS. SUCH ACTIVITIES HELP LOCAL RESIDENTS TO GET MORE KNOWLEDGE AND DEEPEN THEIR SKILLS, WHICH, IN THEIR TURN, INCREASE COMPETITIVENESS OF THOSE PEOPLE ON THE LABOR MARKET AND GIVE THEM A SELF-REALIZATION OPPORTUNITY.**

**სათემო ცენტრების დაფინანსების წყაროების რანჟირება 2011 და 2013 წლებში.**
**Ranking of community centers funding sources in 2011 and 2013**




ცენტრმა შესთავაზა პროგრამას მათ ბაზაზე კომპიუტერული ცენტრების მოწყობა, შედეგად 2013 წელს სათემო ახალგაზრდულმა ცენტრებმა გაიუმჯობესეს ტექნიკური აღჭურვილობა და გაამრავალფეროვნეს მოსახლეობისთვის შესათავაზებელი მომსახურება.

მნიშვნელოვანია, რომ სათემო ცენტრებმა მიაღწიეს ფინანსურ მდგრადობას და დამოუკიდებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამიდან მათი დაფინანსება წელ-წელა მცირდებოდა, 2013 წლისათვის სათემო ცენტრების საერთო ბიუჯეტი (დაფინანსების ალტერნატიული წყაროების ხარჯზე) 2011 წელთან შედარებით გაიზარდა 34%-ით.

### თანამშრომლობა თემის განვითარებაზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

სათემო ცენტრებსა და თემის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის ჰორიზონტალური კავშირების გაღრმავების, გამოცდილების გაზიარების და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით 2013 წელს

improved their technical equipment and diversified the services offered to the public.

It is important that community centers have achieved financial sustainability and independence. Considering that their funding from the program gradually diminishes, by 2013, total budget of the community centers increased by 34% compared to 2011 (at the expense of alternative funding sources).

### Cooperation with Local and International Organisations Working on Community Development

In 2013, aiming to deepen horizontal relationships between community centers and organizations working on community development, as well as for experience and information sharing, CSRDG actively continued supporting national and international level joint initiatives and projects.

„ცენტრმა“ აქტიურად გააგრძელა თემის განვითარებაზე მიმართული ეროვნული და საერთაშორისო დონის ერთობლივი ინიციატივების და პროექტების მხარდაჭერა.

2013 წელს “საქართველოს სტარტეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა” მოაწყო კონფერეცია თემაზე: თემთან მუშაობა - სათემო ფონდების უცხოური გამოცდილება და კავკასიის რეგიონში მისი განვითარების პერსპექტივები. კონფერენცია ჩატარდა თემის განვითარების საერთაშორისო ჟურნალის (ჩჟ-ჩომმუნიტყ დეველოპმენტ ჟოურნალ) ფინანსური მხარდაჭერით.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სათემო და თემის განვითარებაზე მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციები, ფონდები, ასევე სომხეთისა და აზრებაიჯანის იმავე სფეროში

In 2013, Center for Strategic Research and Development of Georgia held a conference: Work with Community - Foreign Experience of Community Funds, and the Prospect of its Development in the Caucasus Region. The conference was held with financial support from CDJ - Community development Journal.

Local organizations and foundations working on community issues and community development, as well as Armenian and Azerbaijan organizations from the same field, participated in the meeting.

During the conference, CoDeCo Coalition (union of Georgian organizations working on community development) presented to the participants the Coalition mission and strategic directions, local experience in work with community, and the Coalition joint publication “Work with Community and Community Develop-






მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციის მსვლელობაში კოალიციამ “ჩოეჩო” (თემის განვითარებაზე მომუშავე ქართულ ორგანიზაციათა გაერთიანება) სტუმრებს გააცნო კოალიციის მისია და სტრატეგიული მიმართულებები, თემთან მუშაობის ადგილობრივი გამოცდილება და კოალიციის ერთობლივი გამოცემა “თემთან მუშაობა და თემის გავითარება”. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთიდან მოწვეულმა ექსპერტმა გააკეთა მოხსენება სათემო ფონდების ევროპულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე, ხოლო სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა საკუთარი ორგანიზაციების თემთან მუშაობის გამოცდილებაზე და სირთულეებზე ისაუბრეს.

შეხვედრის ბოლოს, მოეწყო ჯგუფური მუშაობა კავკასიის ქვეყნებში სათემო ფონდების განვითარების პერსქპექტივებზე. სამმა ჯგუფმა შეიმუშავა განსხვავებული სტრატეგიები სათემო განვითარების ფონდების ჩამოყალიბების მიმართულებით.

ment”. Besides, an invited expert from the UK gave a presentation on European experience and challenges of community foundations, while representatives from Armenia and Azerbaijan talked about the experience of their organizations in work with the community.

At the end of the meeting, a group work was held on the prospects of community foundations development in the Caucasus countries. Three groups developed different strategies on the establishment of community development foundations.






## ქვეპროგრამა — საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

***პროგრამის მიზანია სოფლის, რეგიონალური და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ორგანიზაციული მდგრადობის ხელშემწყობი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.***

დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის მიერ შემუშავებული სტრატეგია არის, ერთი მხრივ, სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინფორმაციული, ტექნიკური (ტრენინგები, კონსულტაციები და ა.შ) და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, რეგიონალური და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლება ორგანიზაციული განვითარებისა და ახალბედა მენეჯერების უნარების გაღრმავების გზით.

პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებული სერვისები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართულია ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ.

### სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საწინდარია დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიება და მათი გამოყენება. სოციალური მეწარმეობა გახლავთ მსგავსი ალტერნატივა. ამან განაპირობა პროგრამის ექსპერტების აღნიშნული საკითხით დაინტერესება და 2009 წლიდან ცენტრი აქტიურად მუშაობს საქართველოში სოციალური მეწარმეობის იდეისა და პრაქტიკის პოპულარიზაციის, მისი დანერგვის მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში 2013 წელს გაცემული მიკროგრანტები, ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები მიზნად ისახავდა სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართული იყო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესებ-

## SUB-PROGRAM – THE DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY ORGANISATIONS

***The goal of the program is to provide accessible services to promote the organisational sustainability of village, regional and national civil society organisations.***

To achieve this goal, the program strategy is, on the one hand, the provision of information, technical (training, consultations, etc.) and financial resources to Georgian civil society organisations interested in social enterprise, and, on the other hand, raising of the effectiveness of regional and national civil society organisations by deepening the organisational development and the skills of young managers.

The services developed by the program experts are aimed at strengthening the organisation of civil society groups and improving their financial sustainability and management processes.

### Promotion of the Development of Social Entrepreneurship

Looking for alternative sources of funding and using them is a pre-requisite for ensuring the development and sustainability of civil society organisations. Social entrepreneurship is such an alternative. This, together with the knowledge of the CSRDG expert, informed this program and, since 2009, CSRDG has been actively working to popularise and implement social entrepreneurship in Georgia.

The micro-grants issued within the program, as well as the training and consultation events, were aimed at strengthening the civil society organisations, as well as the improvement of the organisations' financial sustainability and management processes. As for information support, this was provided by the web-portal, electronic information bulletins

ის გაუმჯობესებისაკენ, ხოლო მათი ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდებოდა ვებპორტალის, ელექტრონული საინფორმაციო დაგზავნებისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

## საინფორმაციო-ანალიტიკური ვებპორტალი

პროგრამის ფარგლებში 2010 წლიდან ფუნქციონირებს საინფორმაციო-ანალიტიკური ვებპორტალი www.cse.ge. აღნიშნული თემატური პორტალი ეძღვნება სოციალური მეწარმეობის საკითხს. აქ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი და საჭირო ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებზე, როგორებიცაა:

- სოციალური მეწარმეობის კონცეფცია, მისი ფორმები და მნიშვნელობა;
- სოციალური საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემო საქართველოში;
- კვლევები და პრაქტიკული მაგალითები სოციალური მეწარმეობის საკითხებზე;
- სოციალური საწარმოების დაფინანსების შესაძლებლობები;
- ინფორმაცია ქართულ სოციალურ საწარმოებზე და იმ პროდუქციაზე, რომელსაც აწარმოებენ;
- თემატური სასარგებლო ბმულები.

ვებ-პორტალზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებულ სერვისებზე: თემატურ ტრენინგებსა და კონსულტაციებზე, სოციალური მეწარმეობის ელექტრონულ ჟურნალზე. დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ დასვან მათთვის აქტუალური შეკითხვები, გამოთქვან ვებპორტალის მუშაობასთან დაკავშირებული თვალსაზრისი და სურვილები.

სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს კვარტალურად ეგზავნებათ ელექტრონული ჟურნალი სოციალურ მეწარმეობაზე, რომელშიც ასახულია განვლილ პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ქვეყანაში. წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი ფონდების სხვადასხვა ინიციატივა, ასევე ქართული და უცხოური წარმატებული სო-

and social networks.

## Informational-Analytical Web-Portal

Since 2010, an informational-analytical web-portal www.cse.ge has been operating within the program. The portal is dedicated to social entrepreneurship issues. Any interested person is able to get extensive and relevant information on theoretical and practical issues related to social enterprise, such as:

- The concept of social entrepreneurship, its forms and importance;
- The legislative base in Georgia, regulating economic activities of social enterprises and civil society organisations;
- Research and practical examples on social entrepreneurship issues;
- Opportunities for funding social enterprises;
- Information on Georgian social enterprises and the products produced by them;
- Thematic/useful links.

The web-portal also carries information on the services developed by program experts: thematic training and consultations and an electronic journal on social entrepreneurship. Interested persons can ask questions about issues which are important to them as well as provide comments and recommendations regarding the work of the web-portal.

A quarterly journal on social entrepreneurship is sent to organisations interested in the issue. It presents the recent activities undertaken in Georgia on this issue. The journal presents the various initiatives of Foundations operating in Georgia, as well as case studies of successful social enterprises in Georgia and internationally. In the “News” section, those interested receive information on grant competitions, planned training, presentations and other events. An electronic, constantly updated, database has been created for the distribution of the journal and currently consists of 317 organisations.

ციალური საწარმოების მაგალითები. „ახალი ამბების“ ფორმატით დაინტერესებული პირები კი იღებენ ინფორმაციას საგრანტო კონკურსებზე, მოსალოდნელ ტრენინგებზე, პრეზენტაციებსა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე. ინფორმაციის შესატყობინებლად შექმნილია მუდმივად განახლებადი ელექტრონული ბაზა. რომელშიც ამჟამად 317 ორგანიზაცია ირიცხება.

გარდა ამისა, სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით, ფეისბუკზე შექმნილ სოციალური მეწარმეობის სპეციალიზებულ გვერდზე, ვებპორტალის მსგავსად, განთავსებულია ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებსა და მიმდინარე სიახლეებზე. აღნიშნული გვერდი გახლავთ ფართო საზოგადოებაში სოციალურ მეწარმეობაზე ინფორმაციის გავრცელების დამატებითი საშუალება.

### ტრენინგები სოციალური მეწარმეობის საკითხზე:

2013 წელს სოციალური მეწარმეობის საკითხზე თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ 5 სემინარს და 2 ტრენინგ-კურსს დაესწრო 168 მონაწილე.

სოციალური მეწარმეობის თემაზე ცენტრის ტრენერ-კონსულტანტების მიერ შემუშავებულია 3 სახის ტრენინგი:

- სოციალური მეწარმეობის შესავალი კურსი - ტრენინგი სოციალური მეწარმეობის ზოგადკონცეპტუალურ საკითხებზე, მის ფორმებსა და როლზე სამოქალაქო საზოგადოებაში;
- ბიზნესის გეგმების შემუშავება სოციალური საწარმოსთვის - ტრენინგი ეძღვნება სოციალური საწარმოს ორგანიზაციული და ფინანსური მართვის, მარკეტინგის და გადასახადების საკითხებს;
- სოციალური და ბიზნესმიზნების დაგეგმვა და შეფასება – ტრენინგი ეხმარება სოციალურ საწარმოებს უკეთ გააანალიზონ თავიანთი საქმიანობის სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს შორის ბალანსი და შეაფასონ სოციალური შედეგები.

In addition, to popularize the concept of social entrepreneurship, a special page on social enterprise has been created on Facebook. As with the web-portal, the page contains information on the new initiatives and current news in this field. The page is an additional means for distributing information on social entrepreneurship.

### Training on Social Entrepreneurship Issues

In 2013, the 2 training courses and 5 seminars on social entrepreneurship held in Tbilisi and regions were attended by 168 participants.

The trainers/consultants in social enterprise developed three types of training:

- Introductory course to social entrepreneurship – covering the general concepts of social entrepreneurship, its forms and role in the civil society;
- Development of business plans for a social enterprise – is dedicated to social enterprise organisational and financial management, marketing and taxation issues;
- Planning and evaluation of social and business goals – helps social enterprises to better analyse the balance between the social and economic goals of their activities, and evaluate social impacts.

### Micro-grants for the Development of Social Entrepreneurship

In order to improve the financial sustainability of civil society organisations and to develop social enterprise, the Program issues micro-grants to those organisations which are already engaged in economic activity or are willing to start social businesses.

### მიკროგრანტები სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით პროგრამა გასცემს მიკროგრანტებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უკვე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ან აქვთ მსგავსი აქტივობის წამოწყების სურვილი.

2013 წელს პროგრამა მუშაობდა წინა წლის კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული 6 სოციალური საწარმოს გაძლიერებაზე.

**სოციალური საწარმო „მწვანე სახლი”** - დააფუძნა კავშირმა „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“. 200 კვადრატული მეტრის ფართობზე მოწყობილია სასათბურე მეურნეობა, სადაც მოჰყავთ მწვანე სალათი. საწყის ეტაპზე მეურნეობის მოსავალი გახლდათ 250 კილოგრამი მწვანე სალათი, რომლის რეალიზაციის შედეგად საწარმოს მოგებამ შეადგინა სულ 100 ლარი. ეს საკმაოდ მოკრძალებული ციფრებია, თუმცა ნებისმიერ ახლადდაფუძნებულ საწარმოს სჭირდება სასტარტო პერიოდი, რომლის შემდგომ (სწორი მენეჯმენტის პირობებში) იზრდება, როგორც წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ასევე მისი გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი.

საწარმო “მწვანე სახლი”-ს პირველად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მიღწეული სოციალური მიზნები. საწარმოში მუდმივად დასაქმებულია 3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი, რომლებიც არიან ბავშვთა სახლების ყოფილი აღსაზრდელები. გარდა ამისა, სათბურს აქვს სასწავლო დატვირთვაც. სათბურის ბაზაზე მოწყობილია სოციალური სახელოსნო, სადაც ორგანიზაციის შშმ პირთა დღის ცენტრის ბენეფიციარები ეუფლებიან თეორიულ და პრაქტიკულ უნარებს მცენარეთა მოვლა-დაცვის მიმართულებით. 2013 წელს აღნიშნული კურსი გაიარა 20-მა შშმ პირმა, რაც მათ შემდგომ დასაქმებაში დაეხმარებათ.

**„სამკერვალო საამქრო” -** დააფუძნა სამცხე-ჯავახეთის „დემოკრატ ქალთა საზოგადოებამ“. ორგანიზაცია ზრუნავს სამცხე-ჯავახეთის ქალთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე.

In 2013, the program was working on strengthening the 6 social enterprises funded under the previous year competition.

**Social enterprise Green House –** was established by the union "Disabled Child, Family, Society". A green house growing lettuce is arranged on 200 square meter area. At the initial stage, the production volume was 250 kilograms of lettuce, and, after selling it, the enterprise made just 100 GEL profit. The figures are quite modest, however, any newlyestablished enterprise needs a starting period after which (provided there is a correct management), the volume of the productions, as well as income made after selling it, increase.

Compared to the initial economic importance of the enterprise Green House, the social goals achieved by it are farmore important. Three persons with disabilities, former pupils of the orphanage, are permanently employed in the enterprise. Besides, the green house also has an educational function. A social enterprise is opened at the basis of the green house, where beneficiaries of the organisation daycare center for people with disabilities aquire tehoretical and practical skills in the field of gardening. In 2013, the mentioned course was attended by 20 people with disabilities, and this will help them in their further employment.

**Sewing Enterprise** – was established by "Samtskhe-Javakheti Society Democrat Women". The organisation is working in physical and psychological health of Samtskhe-Javakheti women.

The enterprise makes women clothing. The enterprise gives jobs to 3 female victims of domestic violence, and the district administrative unit employe 13 persons of the same group. They all make income.

**Development of bee-keeping –** is a project idea a civil society organization "Leli." At the initial stage of its operations, the enterprise

საწარმოში იკერება ქალბატონებისთვის განკუთვნილი ტანისამოსი. საწარმოში დასაქმებულია 3, ხოლო რაიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში 13 ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომლებიც იღებენ შემოსავალს.

**მეფუტკრეობის განვითარება** – არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლელის“ პროექტის იდეა. საწარმომ ამოქმედების საწყის ეტაპზე აწარმოა 150 კგ. თაფლი, ხოლო მისი რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 500 ლარი. გარდა ამისა, საწარმოს მუშაკებმა 7 ახალგაზრდას შეასწავლეს მეფუტკრეობის თეორიული საწყისები და პრაქტიკული უნარები, შედეგად 4-მა ახალგაზრდამ დამოუკიდებლად წამოიწყო თაფლის წარმოება.

მნიშვნელოვანია საწარმოს სოციალური მიზანი, კერძოდ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი ხმარდება ადგილობრივი თემის განვითარებას, კერძოდ, თემის მოსახლეობის არაფორმალურ განათლებას და მათთვის სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას.

produced 150 kilograms of honey, which generated 500 GEL income. Besides, enterprise workers taught 7 young persons theoretical basics and practical skills of bee-keeping. As a result, four young individuals started their own honey production.

Social goal of the enterprise is important. In particular, financial revenue made from selling the product is used for local community development, namely – for informal education of community residents and teaching them various practical skills.

**Cafe Doctors' House** – was established by "International Association for Assistance to Children with Leucosis" which is working in the field of providing social and psychological assistance to leucosis patient children and their family members, tries to make treatment accessible form them, takes care about their education and employment,











**კაფე „დოქტორ ჰაუსი“** – დააფუძნა „ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაციამ“, რომელიც მუშაობს ლეიკოზით დაავადებული ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების მიმართულებით. ცდილობს მათთვის მკურნალობა ხელმისაწვდომი გახადოს. ზრუნავს მათ განათლებასა და დასაქმებაზე.

ორგანიზაციამ თბილისის ერთ-ერთი ბავშვთა საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოაწყო და აამუშავა 250 კვ.მ. სასტუმროს ტიპის „მშობელთა სახლი“. იგი განკუთვნილია რეგიონებიდან ჩამოსული პაციენტებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას იტარებენ ონკო-ჰემატოლოგიურ დეპარტამენტში. მსგავსი ტიპის დაწესებულება საქართველოში ერთადერთია.

სოციალური საწარმო - კაფე „დოქტორ ჰაუსი“, ძირითადად სამედიცინო პერსონალზეა ორიენტირებული, შესაბამისად კაფეს მენიუ და მომსახურება მორგებულია მათ მოთხოვნებზე.

კაფეში დასაქმებულია 2 ადამიანი. კაფეს სოციალური მიზანია მიღებული შემოსავალი მოახმაროს „მშობელთა სახლის“ მდგრადი ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხების მობილიზაციას.

**სოციალური კაფე „ქედელი“** - ქ. სიღნაღში აამუშავა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი – თემი ქედელი“, რომლის ძირითადი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაცია, შრომით-თერაპიულ სახელოსნოებში მათი უნარების გამოვლინება, თვითრეალიზება.

კაფე „ქედელი“ საქართველოში დაფუძნებული პირველი სოციალური კაფეა. კაფეში ეწყობა ხელოვნების საღამოები, შესაძლებელია სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება, მოქმედებს ადგილზე მიტანის სერვისი. ასევე ფეისბუკზე შეიქმნა კაფეს გვერდი. სოციალური საწარმოს მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამჟამად კაფეში დასაქმებულია 4 შშმ ადამიანი.

სასათბურე მეურნეობა – დააფუძნა ფონდმა ,,აფხაზინტერკონტი”. აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაცია მუშაობს მცირე და



On the territory adjacent to one of the Tbilisi children hospitals, the organization arranged and put to operation 250 square meter hotel type Parents' House. It is designated for patients travelling from the regions, who undergo a long-term treatment in onco-hematology department, and their family members. This is the only facility in Georgia of this type.

Social enterprise Café Doctors House is mostly oriented towards medical personnel, respectively, its menu and service is tailored to their requirements.

There are 2 people employed in the café. Its social goal is to use the generated income for the mobilization of necessary funds form sustainable operation of Parents' House.

**Social café Kedeli** – was established in Sighnaghi by a civil society organization "Counselling Union-Community Kedeli of the Socially Unprotected Population of Sighnaghi Region". The main goal of the organization is social integration of people with disabilities, revealing of their skills in labor-therapeutical enterprises. Their self-realization.

Café Kedeli is the first social café established in Georgia. Art evenings are being held here. It is also possible to organize events dedicated various festivity occasions. Delivery service is also offered. A special Face-book page of the café was also created. The goal of the social

ფერმერული ბიზნესის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე, იძულებით გადაადგილებული პირებისა და შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მარგინალური ჯგუფების უფლებების დაცვაზე.

სოციალური საწარმოს მიზანია შეჭირვებული მოსახლეობის დასაქმება, მათთვის სათბურებში მუშაობის სპეციფიკის შესწავლა, ხოლო საწარმოდან მიღებული შემოსავლით მათთვის სათბურების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ხსენებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და გააუმჯობესებს მათ საცხოვრებელ პირობებს. საწყის ეტაპზე 200 კვადრატული მეტრის ფართობზე მოეწყო სასათბურე მეურნეობა, რომელიც წარმატებით ამუშავდა და საწარმოში ამჟამად დასაქმებულია ორგანიზაციის 4 ბენეფიციარი.

გარდა ამისა, ქუთაისის 2 სკოლაში, სადაც სწავლობენ იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალური საწარმოს მუშაკები ატარებენ ტრენინგ-სემინარებს ბოსტნეული კულტურების მოყვანის ტექნოლოგიებზე, ორგანული ნარჩენების და კომპოსტის გონივრულ გამოყენებაზე. ასევე, სათბურის ბაზაზე ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები.

enterprise is employment of people with disabilities and their integration in the society. At present, four persons with disabilities are employed in the café.

Nursery enterprise was founded by foundation "Abkhazinterkont". This civil society organisation is working for the promotion of sustainable development of small and medium size farms, improvement of social and economic conditions of internally displaced persons and socially vulnerable populatioin, and protection of the rights of marginalised groups of society.

The goal of the social enterprise is employment of socially vulnerable people, teaching them specifics of workingin green houses, and making green houses for them from the income generated from the farm. These will help social-economic intergation of the mentioned groups of people and improve theior living conditions. At the beginning stage, a greenhouse was arranged on 200 square meter area. It started successful operation and, at present, four beneficiaries of the organisation are employed in the greenhouse.

**ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საწარმოს სოციალური დატვირთვა მდგომარეობს შრომის ბაზარზე დაბალი კონკურენტუნარიანობის მქონე ადამიანების დასაქმებაში, კერძოდ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები, ბავშვთა სახლების ყოფილი აღსაზრდელები, დევნილები, ხანგრძლივად დაუსაქმებელი ადამიანები. სოციალურ საწარმოებში დასაქმება ჩამოთვლილ ადამიანთა ჯგუფებს საკუთარი შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლევს. ამჟამად საწარმოებში დასაქმებულია 33 ადამიანი, რომელთა ხელფასი შეადგენს საშუალოდ დღეში 10-15 ლარს. გარდა ამისა, სოციალურ საწარმოები ატარებენ სასწავლო კურსებს, სადაც ეს ადამიანები იძენენ სხვადასხვა პროფესიულ უნარებს, რაც შემდგომში მათი დასაქმების შანს ზრდის.**

**THE MEANING OF ALL ABOVE LISTED SOCIAL ENTERPRISES IS TO HELP SOLVE EMPLOYMENT ISSUE FOR LOWLY COMPETITIVE PEOPLE ON THE LABOR MARKET. IN PARTICULAR: PEOPLE WITH DISABILITIES, DOMESTIC VIOLENCE VICTIM FEMALES, FORMER PUPILS OF ORPHANAGES, IDP, PEOPLE WITH LONG UNEMPLOYMENT HISTORY. GETTING EMPLOYMENT IN SOCIAL ENTERPRISES GIVES PEOPLE FROM THE LISTED SEGMENTS POSSIBILITY TO MAKE INCOME AND GET INTEGRATED IN THE SOCIETY. AT PRESENT, 33 PEOPLE ARE EMPLOYED IN THE ENTERPRISES, AND THEIR AVERAGE DAILY INCOME IS 10-15 GEL. BESIDES, SOCIAL ENTERPRISES HOLD LEARNING COURSES, WHERE THESE PEOPLE GET VARIOUS PROFESSIONAL SKILLS THAT, IN THE FUTURE, INCREASES THEIR EMPLOYMENT CHANCES.**

## კონსულტაციები სოციალური მეწარმეობის საკითხზე

სოციალური მეწარმეობის სხვადასხვა ასპექტზე ცენტრის ექსპერტები კონსულტირებას უწევდნენ როგორც საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ ეკონომიკური საქმიანობის მქონე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სათემო ჯგუფებს, ასევე ზოგადად სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

კონსულტაციები ეხებოდა ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაში წამოჭრილ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ბიზნესგეგმის შედგენა, მარკეტინგი, ფინანსების მართვა, გადასახადები და ა.შ. 2013 წელს საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 11 საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციას.

Besides, in two Kutaisi schools attended by IDP children, workers of the social enterprise carry out training-seminars on the technologies of producing vegetable crops, and considerate usage of organic waste and compost. In addition, practical classes are held on the greenhouse premisses.

## Consultations on Social Entrepreneurship Issues

CSRDG experts provided consultations on social entrepreneurship issues specifically to those organisations funded under the grants competitions, as well as, more generally, to organisations interested in social entrepreneurship.









## საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების ქსელური საქმიანობის ხელშეწყობა

2013 წელს თბილისში ,,ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა ქართული სოციალური საწარმოების მეორე ერთობლივი შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდა 50-მდე სოციალური საწარმოს ლიდერი და სოციალური მეწარმეობის განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლი. წინა წლის ანალოგიური ღონისძიების მონაწილეთა მოსაზრებების და სურვილების გათვალისწინებით ერთობლივმა შეხვედრებმა ყოველწლიური ხასიათი მიიღო.

სამუშაო შეხვედრის პირველ ნახევარში მონაწილეებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ერთმანეთის საქმიანობას და თანამშრომლობის შესაძლებლობებს. შეხვედრის მეორე ნახევარი მიეძღვნა მსჯელობას სოციალური საწარმოების საარსებო სამართლებრივ გარემოზე და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

## სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია

ცნობილია, რომ ახალგაზრდებისთვის ბუნებრივად დამახასიათებელია: სითამამე, მოქნილობა, ინოვაციური იდეების ტრანსფორმირება, ენერგიულობა. ყველა ეს თვისება ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოში შედარებით ახლად ჩამოყალიბებულ სფეროში, რომელსაც ,,სოციალური მეწარმეობა" ჰქვია. სწორედ ამიტომ, 2012 წელს პროგრამამ განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართა ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცი-

The consultations addressed various relevant issues that had arisen from the economic activities of the organisations, such as: the preparation of a business plans, marketing, financial management, taxation issues, etc. In 2013, consultation services were provided to 11 civil society and community based organisations.

## The Promotion of Network Activities for Social Enterprises Operating in Georgia

In 2013, organized by CSRDG, the Second Joint Meeting of Georgian Social Enterprises was held in Tbilisi. Leaders of about 50 social enterprises and representatives of organizations working in the area of the development of social enterprising participated in the meeting. Considering opinions and desires of participants of a similar event held in the previous year, such joint meeting turned into an annual event.

In the first half of the workshop, participants were given possibility to get familiar with each other's activities and their cooperation opportunities. While the second half was dedicated to discussion about the legislative environment for social enterprises and related challenges.

## Popularisation of the Social Entrepreneurship Concept

It is known that the young people are naturally characterised by: boldness, flexibility, the transformation of innovative ideas to reality












ისა და მათ მიერ სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისაკენ. კერძოდ, ,,ბრიტანეთის საბჭომ“, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა“ და „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა“ 2012 წელს ერთობლივად მოაწყვეს კონკურსი ,,სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად”, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის 4 უნივერსიტეტი. კონკურსმა სხვა უნივერსიტეტების დიდი ინტერესი დაიმსახურა, რის გამოც გადაწყდა ყოველწლიურად მსგავსი ღონისძიების ორგანიზება.

2013 წელს კონკურსში მონაწილეობდა თბილისის 4 უნივერსიტეტი, კერძოდ: “ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი”, “კავკასიის უნივერსიტეტი”, “ქართული უნივერსიტეტი” და “შავი ზღვის უნივერსიტეტი.”

ჩამოთვლილი უნივერსიტეტების დაინტერესებული სტუდენტებისთვის სოციალური მეწარმეობის არსის და ქართული საწარმოების საქმიანობის გაცნობის მიზნით მოეწყო სემინარები და გაცნობითი ტურები თბილისის სოციალურ საწარმოებში. ტურის პროცესში თითოეული უნივერსიტეტისთვის

and energy. All these features play a very important role in a relatively newly established idea: “social entrepreneurship”. For this reason, in 2012 the Program put particular effort into the popularizing of social entrepreneurship amongst the youth and the promotion of social enterprises established by them. In particular, in 2012, The British Council, Eurasia Partnership Foundation and Centre for Strategic Research and Development of Georgia held a joint competition Students for Support of Social Entrepreneurship, with 4 Tbilisi Universities taking part. The competition attracted great interest from other Universities, so a decision was made to organise simmilar events annually.

In 2013, 4 Tbilisi Universities participated in the competition, namely: Georgian-American University, Caucasus University, Georgian University, and Black Sea University.

In order to get interested students of the listed Universities familiar with social enterprising concept and activities of Georgian social enterprises, seminars and introductory tours to social enterprises were held. During the tour, one social enterprise was selected for each University. The inner-University contest assignment given to the students was related to solving the problem outlined by the enterprise. Their task was to prepare a project directed towards solving the problem of the social enterprise. Inner-University contests were held in each University. Out of those, a special jury selected the best

შერჩეული იყო თითო სოციალური საწარმო, რომლის მიერ დასახული პრობლემის გადაჭრას დაუკავშირდა სტუდენტთა გუნდების შიდასაუნივერსიტეტო საკონკურსო დავალება. მათი ამოცანა იყო სოციალური საწარმოს პრობლემის მოგვარებაზე მიმართული პროექტის შედგენა. თითოეულ უნივერსიტეტში მოეწყო შიდასაუნივერსიტეტო კონკურსი, რომელზეც ჟიურიმ თითო უნივერსიტეტიდან შეარჩია საუკეთესო შემოთავაზება და გამარჯვებული გუნდების პროექტები დაფინანსდა. ამის შემდგომ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ სოციალურ საწარმოსთან მჭიდრო თანამშრომლობით და "ცენტრის" ექსპერტების საკონსულტაციო დახმარებით პრაქტიკაში დაენერგათ პროექტში დასახული გეგმა.

2014 წლის დასაწყისში ჩატარდება შემაჯამებელი უნივერსიტეტთაშორისი კონკურსი - "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2013" , რომელზეც გამოვლინდება საუკეთესოდ შესრულებული პროექტი და მისი განმახორციელებელი გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება.

proposals, and projects of the winning teams were funded. Afterwards, in close cooperation with the social enterprise and with consultative assistance provided by CSRDG expert, the students were given possibility to implement the project plan into the practice.

In the beginning of 2014, a summarizing inter-University contest – Students in Support of Social Entrepreneurship 2013 - will be held, where the best implemented project will be identified and winner the implementing team will be given award.

### The Promotion of Organisational Development for Civil Society Organisations

CSRDG experts and a group of consultants on organisational development offer tailored training modules and individual consultations on various levels and themes on management and organisational development issues.

**კონკურსში - "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2013" - მონაწილეობა მიიღო 140-მა სტუდენტმა, აქედან 12 სტუდენტი მოხალისეობრივ საწყისებზე აქტიურად ჩაერთო 3 სოციალური საწარმოს მარკეტინგული პრობლემების მოგვარებაში. სტუდენტების მიერ შემუშავებული პროექტების განხორციელების საწყის ეტაპზე ჩატარებულმა მარკეტინგულმა ღონისძიებებმა პირველივე თვეებში გაზარდა სოციალური საწარმოების გაყიდვები და მოუტანა დამატებითი მოგება 10%-დან 20%-მდე. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდა მათ ბენეფიციარებს, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ლეიკემიით დაავადებული ბავშვები და მათი მშობლები.**

**140 STUDENTS PARTICIPATED IN THE COMPETITION – STUDENTS IN SUPPORT OF SOCIAL ENTREPRENEURSHIP 2013. OUT OF THOSE, 12 STUDENTS VOLUNTEERED TO GET ACTIVELY INVOLVED IN SOLVING MARKETING PROBLEMS OF THREE SOCIAL ENTERPRISES. MARKETING MEASURES UNDERTAKEN BY THE STUDENTS ON THE INITIAL STAGE OF THE PROJECTS DEVELOPED BY THEM INCREASED SALES OF THE SOCIAL ENTERPRISES ALREADY IN THE VERY FIRST MONTHS AND GENERATED 10% TO 20% ADDITIONAL PROFIT. IT IS IMPORTANT, THAT THE INCOME RECEIVED FROM THE ENTERPRISES WAS SPENT ON THEIR BENEFICIARIES - PEOPLE WITH DISABILITIES, AND LEUKEMIA PATIENT CHILDREN AND THEIR PARENTS.**

## საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა

„ცენტრის“ ტრენერთა და ორგანიზაციული განვითარების კონსულტანტთა ჯგუფი ორგანიზაციებს სთავაზობს საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა დონისა და თემატიკის ტრენინგ-მოდულებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს მართვისა და ორგანიზაციული განვითარების საკითხებში.

2013 წელს პროგრამის ტრენერებმა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 86 საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ სათემო ჯგუფის წარმომადგენლისათვის ჩაატარეს თემატური ტრენინგები და კონსულტაციები (იხ. დანართი 4).

***ტრენინგების თემატიკა იყო:***

- პროექტის წერა;
- პროექტის დაგეგმვა;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ანგარიშგება.

In 2013, program trainers held thematic trainings and consultations for representatives of 86 civil society organisations and community groups from Tbilisi and various regions of Georgia (see Annex #4).

***The training covered the following topics:***

- Project Planning;
- Proposal Writing;
- Strategic Planning;
- Reporting.

**წლის ბოლოს ტრადიციისამებრ ჩატარდა გამოკითხვა „ცენტრის" მიერ გაწეული სერვისების ეფექტიანობის შესაფასებლად. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მონაწილეთა 86 % იყენებს მიღებულ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკაში.**

**TRADITIONALLY, AT THE END OF THE YEAR, A STUDY WAS CARRIED OUT TO EVALUATE EFFECTIVENESS OF SERVICES PROVIDED BY CSRDG. THE STUDY SHOWED THAT 86% OF THE RESPONDENTS APPLY RECEIVED KNOWLEDGE AND SKILLS IN PRACTICE.**

## პროგრამა - კარგი მმართველობის ხელშეწყობა

***პროგრამის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის გაუმჯობესება, აგრეთვე მთავრობის მიერ მოსახლეობის საჭიროებებისა და რეალური პრობლემების უფრო ეფექტიანი გათვალისწინება.***

სტრატეგია შემუშავებულია პროგრამის ექსპერტების მიერ „ცენტრის" კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით, ასევე საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებით და გულისხმობს სამთავრობო სტრუქტურების პოლიტიკის ანალიზს, საჯარო განხილვასა და მონიტორინგს.

პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით, რომელთა ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ორი ქვეპროგრამა: კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა; თვითმმართველობის განვითარება.

### თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა

***პროგრამის მიზანია საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში ხელი შეუწყოს ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას და საბიუჯეტო პროგრამებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურ ასახვას.***

#### ქსელური საქმიანობა – თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი

თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი ხორციელდება თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ოზურგეთსა და ჩოხატაურში. დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის სტრატეგიას წარმოადგენს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმების შესრულების მონიტორინგი. პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები დაფარულია სამოქალაქო მონიტორინგის ქსელით, რომელშიც

## PROGRAM – THE PROMOTION OF GOOD GOVERNANCE

***The goal of the program is to improve governance at the national and local levels, as well as to ensure the government gives more effective consideration to the population needs and real problems.***

The strategy has been developed by the Program experts based on CSRDG research activity, drawing on the experience of working with legislative and government bodies. The strategy involves an analysis of the policies of government agencies, their public discussion and monitoring.

The program covers both the national, as well as local levels and is implemented through two main sub-programs: Research and Promotion of Reforms; the Development of the Self-Governance.

### SUB-PROGRAM - DEVELOPMENT OF THE SELF-GOVERNANCE

***The goal of the program is to promote transparency in the local budgeting process in 5 municipalities, and achieve maximum consideration of the needs of local residents in the budgeting programs.***

#### Net work activity- monitoring of self-governed entities

Monitoring of self-governed entities is carried out in Telavi, Lagodekhi, Sighnaghi, Ozurgeti and Chokhatauri. In order to achieve its objectives, the program strategy is to monitor compliance with the norms and transparency requirements of the budgeting process in the above municipalities envisaged by the legislation. The program activities are delivered by the Civil Monitoring Network, consisting of the Centre for Strategic Research and Development of Georgia, the Georgian Association for Civil

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან" ერთად ჩართულია „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია" (კახეთი) და „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი" (გურია). თელავში პროგრამის საქმიანობას „ცენტრის" თელავის ბიურო წარმართავს.

2013 წლის მეორე ნახევარში სამიზნე მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და ძველ 5 მუნიციპალიტეტს დაემატა 6 ახალი, კერძოდ: კახეთში – ყვარელი და საგარეჯო, ხოლო სამეგრელოში – აბაშა, მარტვილი, სენაკი და ხობი.

## გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება – მიღწეული შედეგები

სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, თვითმმართველი ერთეულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და კარგი მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით, შეიმუშავა საკრებულოს გამჭვირვალობის 16 სპეციალური კრიტერიუმი. 2013 წელსაც პროგრამა 8 კრიტერიუმის მონიტორინგს ახორციელებდა, კერძოდ კი ესენია:

- მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან საზოგადოებრივი საბჭოების არსებობა;
- საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე გამართული საჯარო დისკუსიების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ გასვლითი სესიების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგი სხდომების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების კომისიების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;

Development (Kakheti) and the Union for the Democratic Development of Georgia (Guria). In Telavi, program activities are carried out by CSRDG's Telavi Bureau.

In the second half of 2013, geographic coverage of the target municipalities expanded and 6 new municipalities were added to 5 previous ones. In particular, the new municipalities are: in Kakheti - Kvareli and Sagarejo, in Samegrelo - Abasha, Martvili, Senaki and Khobi.

## Transparency and accountability - accomplishments

In terms of monitoring the transparency and accountability of self-governed units, the Civil Monitoring Network (based on Georgian legislation and considering good governance principles) developed 16 special criteria for Sakrebulo (local council) transparency. In 2012, the program carried out monitoring on 8 of these criteria, namely:

- The availability of public councils at the municipality Sakrebulos;
- The number of public discussions held on those issues especially important to the public;
- The organising of external/public sessions by representatives of municipalities;
- The provision of timely information sharing for the public on scheduled sessions of the representative body;
- The provision of timely information sharing for the public on the commissions of the rep-





- საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშგება;
- მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ინფორმატიულობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად საზოგადოების დროული ინფორმირება.

თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა სარეკომენდაციო წინადადებები და მათი შესრულების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც, მედია აქტივობებთან ერთად, ითვალისწინებდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო და საკოორდინაციო შეხვედრებს; საკრებულოსა და მისი კომისიების მუშაობაში ქსელის ექსპერტთა ჩართულობას; სათემო ორგანიზაციების მობილიზებას და სხვ.



resentative bodies;

- The accountability of Sakrebulo members and officials;
- The quality of information on the municipality web-page;
- The provision of timely information sharing for the public to ensure its engagement in the decision making process.

**სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის მიერ თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდის მიზნით, 2013 წელს განხორციელებული საქმიანობების შედეგად, შეიძლება გამოიყოს შემდეგი:**

- **სამიზნე მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდა საჯარო განხილვების ორგანიზება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე;**
- **მნიშვნელოვნად შემცირდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომების დასაბუთების გარეშე ჩატარების ფაქტები;**
- **დაცულია ნორმატიული აქტების შემუშავების, დამტკიცებისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილი პროცედურები;**
- **ყველა მუნიციპალიტეტმა დახვეწა და გააუმჯობესა საკუთარი ვებ-გვერდების ინფორმატიულობა;**
- **გაუმჯობესდა წარმომადგენლობითი ორგანოების რიგგარეშე სხდომების ჩატარების პროცედურების დაცვის მდგომარეობა;**
- **ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში მოეწყო 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების და 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვები;**
- **აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე მუნიციპალიტეტმა მოაწყო საჯარო განხილვა ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე, რაც აქამდე არც ერთ მუნიციპალიტეტში არ მომხდარა.**

**FROM THE ACTIVITIES CARRIED OUT BY THE CIVIL MONITORING NETWORK IN 2013 IN TELAVI, LAGODEKHI, SIGHNAGHI, OZURGETI AND CHOKHATAURI MUNICIPALITIES TO INCREASE THE LEVEL OF TRANSPARENCY AND ACCOUNTABILITY, THE FOLLOWING CAN BE MARKED OUT:**

- **IN THE TARGET MUNICIPALITIES, ORGANISATION OF PUBLIC HEARINGS ON IMPORTANT DECISIONS WAS IMPROVED;**
- **NUMBER OF CASES OF HOLDING SAKREBULO SPECIAL SESSIONS WITHOUT A JUSTIFICATION WAS DECLINED CONSIDERABLY;**
- **ESTABLISHED PROCEDURES OF DEVELOPING, APPROVING AND PUBLISHING SPECIAL NORMATIVE ACTS WERE FOLLOWED;**
- **ALL MUNICIPALITIES REFINED AND IMPROVED INFORMATIVE CONTENTS OF THEIR WEB-SITES;**
- **SITUATION ON COMPLYING WITH PROCEDURES ABOUT HOLDING SPECIAL SESSIONS OF THE REPRESENTATIVE ORGAN WAS IMPROVED;**
- **PUBLIC HEARINGS ON THE COMPLETION OF 2012 BUDGETS AND ON 2014 DRAFT BUDGETS WERE HELD IN ALL TARGET MUNICIPALITIES;**
- **IT SHOULD BE NOTED THAT SEVERAL MUNICIPALITIES HELD PUBLIC HEARINGS ON THE AMENDMENTS TO BE MADE TO THE BUDGETS - THIS HAD NEVER BEEN PRACTICED BEFORE IN ANY OF THE MUNICIPALITIES.**

## საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი

2013 წელსაც პროგრამამ გააგრძელა სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო სფეროს მონიტორინგი შემდეგი მიმართულებებით:

- საბიუჯეტო პროცესის ვადებისა და პროცედურების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი;
- დამტკიცებული ბიუჯეტების ანალიზი;
- ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება.

### საბიუჯეტო პროცესის ვადებისა და პროცედურების დაცვა

საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის ვადები და პროცედურები, რაც უკავშირდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირებას, დამტკიცებას, აღსრულებასა და ანგარიშგებას. ქსელის ექსპერტები წლის განმავლობაში ატარებდნენ აღნიშნული ვადებისა და პროცედურების დაცვის მონიტორინგს.

უნდა ითქვას, რომ, წინა წლებთან შედარებით, სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო ვადების დაცვის მდომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა, რიგი პროცედურებისა კვლავ დასახვეწია, რის შესახებაც ქსელის ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები მიეწოდა სამიზნე მუნიციპალიტეტებს. ისინი ეხებოდა შემდეგ საკითხებს, ესენია: ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნება; საბიუჯეტო განაცხადის ფორმების დახვეწა; ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ინფორმატიულობა და სტრუქტურა.

A package of recommendations, as well as action plans to ensure their implementation, was developed for each target municipality. Together with media activities, these packages included consultation and coordination meetings with representatives from local authorities; the engagement of the Network experts in the work of the Sakrebulos and their committees; the mobilisation of community based organisations, etc.

## Monitoring the budgetary process

In 2013 as well, the Program continued budgetary monitoring of the following areas in the target municipalities:

- A review of the existing situation with regard to keeping to the due timelines and procedures of the budgetary process;
- Documentary and field monitoring of the local budget programs;
- Analysis of the approved budget;
- Evaluation of the quarterly and annual completions of the budgets.







პროგრამის ექსპერტები, სათემო ცენტრების და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად აკვირდებოდნენ სამიზნე მუნიციპალიტეტების 2014 წლის ბიუჯეტების დაგეგმვის პროცესს. კერძოდ, ერთი მხრივ მიმდინარეობდა ბიუჯეტის ფორმირების ციკლის მონიტორინგი, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი სათემო ცენტრები უშუალოდ ჩაერთნენ ხსენებულ პროცესში.

**Compliance with the Budgetary Process Timelines and Procedures**

The budget code defines the timelines and procedures of the local budgetary processes. This relates to the formation of the budget of a self-governed unit, its approval, completion and reporting. Throughout the year, Network experts were monitoring compliance with these

**პროგრამის სამიზნე 8 მუნიციპალიტეტის (კახეთში: თელავი, საგარეჯო, ყვარელი, ლაგოდეხი და სამეგრელოში: აბაშა, მარტვილი, სენაკი, ხობი) 26 სოფელში განხორციელდა კვლევა, რომლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე მომზადდა თითოეული სოფლის პროფილი (სულ 26 პროფილი), სადაც აღწერილია არსებული პრობლემატიკა, რესურსები და მოსახლეობის ხედვა თემის განვითარების პოტენციალთან დაკავშირებით. ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში მოქმედი სოფლის სათემო ცენტრების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ადგილობრივი ბიუჯეტების განხილვებში, სადაც წარადგინეს ზემოხსენებული კვლევით გამოვლენილი განსაკუთრებით მწვავე პრობლემები. შესაბამისად 51 პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო თანხის ნაწილი ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გამოყო 2013 წლის ბიუჯეტებში (წლის ბოლოს ბიუჯეტებში შევიდა ცვლილებები), ხოლო დანარჩენი თანხა გათვალისწინებულ იყო 2014 წლის ბიუჯეტებში. აქედან გამომდინარე, პროგრამის ექსპერტების და სათემო ცენტრების ძალისხმევის შედეგად კახეთის და სამეგრელოს 8 მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებმა გამოყვეს 515 285 ლარის ოდენობის თანხა, რომლითაც მოგვარდება 26 თემში მცხოვრები 399 092 ადამიანის 51 საჭირბოროტო საკითხი, კერძოდ: შიდა გზების შეკეთება, მდინარის ჯებირების გამაგრება, სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, ქალთა შეხვედრების ადგილების მოწყობა, პარკების და სკვერების მოწყობა, ნაგვის კონტეინერების დამონტაჟება, სპონტანურად შექმნილი ნაგავსაყრელები ნაგვისგან გაწმენდა, ქუჩის განათების მონტაჟი, სადრენაჟო სისტემების გაყვანა, სოფლებსა და ქალაქებს შორის მოსახლეობის უპრობლემო გადაადგილებისთვის სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა და მათი გადაადგილების განრიგის შედგენა.**

**A STUDY WAS CARRIED OUT IN 26 VILLAGES OF THE PROGRAM 8 TARGET MUNICIPALITIES (IN KAKHETI: TELAVI, SAGAREJO, KVARELI, LAGODEKHI, AND IN SAMEGRELO: ABASHA, MARTVILI, SENAKI, KHOBI), AND, BASED ON THE OBTAINED RESULTS, PROFILES FOR EACH VILLAGE WERE PREPARED (A TOTAL OF 26 PROFILES), DESCRIBING EXISTING PROBLEMS, RESOURCES, AND PUBLIC VISION REGARDING COMMUNITY DEVELOPMENT POTENTIAL. IN THE LISTED MUNICIPALITIES, REPRESENTATIVES OF THE VILLAGE COMMUNITY CENTRES TOOK PART IN THE DISCUSSIONS OF LOCAL BUDGETS, WHERE THEY PRESENTED ESPECIALLY ACUTE PROBLEMS IDENTIFIED BY THE ABOVE MENTIONED STUDY. RESPECTIVELY, IN THE 2013 BUDGETS, LOCAL SELF-GOVERNMENTS ALLOCATED A PART OF FUNDS NECESSARY TO SOLVE 51 PROBLEMS (CHANGES WERE MADE TO THE BUDGETS IN THE END OF THE YEAR), AND THE REMAINING FUNDS WERE ALLOCATED IN THE 2014 BUDGETS. SO, AS A RESULT OF THE EFFORTS TAKEN BY THE PROGRAM EXPERTS AND COMMUNITY CENTRES, SELF-GOVERNMENTS OF EIGHT MUNICIPALITIES IN KAKHETI AND SAMEGRELO ALLOCATED GEL 515 285, THAT WILL SOLVE 51 PROBLEMS FOR 399 092 RESIDENTS OF THOSE 26 COMMUNITIES, IN PARTICULAR: REPAIR OF INNER ROADS, REINFORCEMENT OF RIVER EMBANKMENTS, REPAIR OF DRINKING WATER SYSTEMS; ARRANGEMENT OF MEETING PLACES FOR WOMEN, ARRANGEMENT OF PARKS AND SQUARES, INSTALLATION OF GARBAGE BINS, CLEANING OF SPONTANEOUS LANDFILLS, INSTALLATION OF STREET LIGHTS, BUILDING OF DRAINAGE SYSTEMS, PROVISION OF TRANSPORT FOR THE RESIDENTS FOR EASY GETTING AROUND BETWEEN TOWNS AND VILLAGES AND MAKING THE TRANSPORT TIMETABLE.**

### ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, წლის დასაწყისში განისაზღვრა ის სფეროები, რომელთა მიმართულებით მიმდინარე პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. კერძოდ, 2013 წელს განხორციელდა სოფლის განვითარების პროგრამის, სოციალური პროგრამების და მუნიციპალური საბავშვო ბაღების სისტემაში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ქსელის ექსპერტებმა გამოითხოვეს საბავშვო ბაღების შესახებ არსებული საჯარო ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ზედმიწევნით შესწავლილი და გაანალიზებული იყო შემდეგი საკითხები:

- განათლების პროგრამები და სტანდარტები;
- ბავშვთა კვება;
- ფინანსები;
- არსებული სათამაშოები (მათი საკმარისობა და მდგომარეობა);
- ბავშვების რაოდენობა და თითოეულ ბავშვზე გათვლილი ფართობი;
- მუშაობის საათები;
- სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- შენობებისა და ინვენტარის მდგომარეობა.

გარდა ამისა, სამიზნე მუნიციპალიტეტში მოქმედმა ახალგაზრდულმა სათემო ცენტრებმა ადგილებზე განახორციელეს საველე მონიტორინგი. დოკუმენტური და საველე მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ეხებოდა სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების დახვეწას.

timelines and processes.

It should be noted that, compared to the previous years, the situation regarding compliance with the budget timelines in the target municipalities has improved. However, a number of procedures still need improvement. Recommendations on this issue were prepared by Network experts and submitted to the target municipalities. These recommendations addressed the following topics: the publication of the draft budget; the improvement of the budget application forms; the quality of information and structure of the budget completion report.

Program experts, together with representatives of community centres and initiative groups, were observing the 2014 budget planning process. In particular, on the one hand, monitoring of the budget formation cycle was being carried out, and, on the other hand, local community centres got directly involved in the mentioned process.

### Documentary and Field Monitoring of the Local Budget Programs

At the beginning of the year, the areas where ongoing monitoring programs are particularly important and prioritised were determined – in particular, in 2013, monitoring of the existing conditions in the Rural Development Program, social programs, and municipal kindergartens was carried out.

To conduct documentary monitoring, Network experts requested public information and other related documents about kindergartens. The following issues were closely studied and analysed:

- Contracts made with the parents;
- Education programs and standards;
- Catering arrangements for children;
- Finances;
- The available toys (amount and condition);
- The number of children and the total space available for each child;
- Working hours;

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად:

- ლაგოდეხში შეიქმნა საბავშვო ბაღების პრობლემების შემსწავლელი სპეციალური კომისია;
- ოზურგეთში გახმაურდა საბავშვო ბაღებში შეტანილი უვარგისი ხორცპროდუქტების შემთხვევა, შესაბამისად ადგილობრივი მთავრობა იძულებული გახდა გამოეკვლია აღნიშნული ფაქტი, დამნაშავეები დაისჯნენ, ხოლო მთავრობამ, მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, შესაბამისი პრევენციული ზომები მიიღო;
- პროგრამის ექსპერტების მიერ თვითმმართველობებისთვის შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე ლაგოდეხის სამიზნე მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 300 000 ლარით გაზარდა საბავშვო ბაღების დაფინანსება, შედეგად ბაღებში გაუმჯობესდა პირობები და ბავშვთა რაოდენობამაც მოიმატა. მუნიციპალურ ბიუჯეტში ამ კონკრეტულმა ცვლილებამ სამიზნე მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი მოსახლეობის (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 52 502 ადამიანი) ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესა.

AS A RESULT OF THE CONDUCTED MONITORING:

- A SPECIAL COMMISSION TO STUDY KINDERGARTEN PROBLEMS WAS SET UP IN LAGODEKHI;
- THE CASE OF POOR QUALITY MEAT PRODUCTS DELIVERED TO KINDERGARTENS IN OZURGETY CAME TO PUBLICITY. RESPECTIVELY, THE LOCAL GOVERNMENT BECAME FORCED TO INVESTIGATE THE MENTIONED FACT, THOSE GUILTY WERE PUNISHED, AND, IN ORDER TO AVOID SIMILAR CASES IN THE FUTURE, THE GOVERNMENT TOOK RESPECTIVE PREVENTIVE MEASURES;
- BASED ON THE RECOMMENDATIONS DEVELOPED BY THE PROGRAM EXPERTS FOR THE SELF-GOVERNMENTS, LAGODEKHI TARGET MUNICIPALITY INCREASED FUNDING FOR KINDERGARTENS FROM THE LOCAL BUDGET BY GEL 300 000. AS A RESULT, CONDITIONS IN THE KINDERGARTENS IMPROVED AND THE NUMBER OF THE KONTINGENT INCREASED. THIS SPECIFIC CHANGE IN THE MUNICIPAL BUDGET IMPROVED QUALITY OF LIFE OF MORE THAN 50% RESIDENTS OF THE TARGET MUNICIPALITY (POPULATION OF LAGODEKHI MUNICIPALITY IS 52 502 PEOPLE).

პროგრამის ექსპერტებმა გამოითხოვეს და შეისწავლეს სოფლის განვითარების პროგრამასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია და დოკუმენტები. ახალი სოფლის განვითარების პროგრამა დაიწყო 2013 წელს, ამიტომ საინტერესო იყო განახლებულ პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესწავლა და მონიტორინგი. შესაბამისად შესწავლილი და გაანალიზებული იყო შემდეგი საკითხები:

- Sanitary/hygiene conditions;
- The condition of the building and equipment.

Besides, the youth centres operating in the target municipalities carried out field monitoring on the ground. As a result of analysing the information obtained by documentary and field monitoring, a package of recommenda-

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე პროგრამის ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც წარედგინა სოფლის განვითარების პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას, კერძოდ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. სამინისტრომ რეკომენდაციების უმეტესობა მოიწონა და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მათი გათვალისწინება, რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება სოფლებში განხორციელებულ პროექტების მიზანმიმართულობაზე, ადეკვატურობაზე და ფინანსური მართვის საჯაროობაზე.

BASED ON ANALYSING THE OBTAINED INFORMATION, PROGRAM EXPERTS DEVELOPED A PACKAGE OF RECOMMENDATIONS THAT WAS PRESENTED TO THE RESPONSIBLE STATE AGENCY FOR THE COMPLETION OF RURAL DEVELOPMENT PROGRAM - NAMELY, TO THE MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE. THE MINISTRY LIKED MOST OF THE RECOMMENDATIONS AND REQUESTED ALL GEORGIAN MUNICIPALITIES TO CONSIDER THEM, WHICH WILL EVENTUALLY MAKE A POSITIVE IMPACT ON THE PURPOSEFULNESS, ADEQUACY AND PUBLICITY OF FINANCIAL MANAGEMENT OF THE PROJECTS IMPLEMENTED IN THE VILLAGES.

- პროგრამის ბენეფიციარებთან შეხვედრების განრიგი და მისი შესრულება;
- პროგრამით დაგეგმილი სამუშაოები და მათი შესრულების დროულობა და სისრულე.

გარდა ამისა, სოფლის განვითარების პროგრამის საველე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ქსელის ექსპერტებმა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედ ახალგაზრდულ სათემო ცენტრებს ჩაუტარეს ტრენინგები, რომლებზეც გააცნეს სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოფლის მოსახლეობის აზრის კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ითვალისწინებდა პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დონის და მისი მიმდინარების ეფექტურობით კმაყოფილების ხარისხის შეფასებას. 2013 წლის მეორე ნახევარში, სათემო ცენტრების დახმარებით, ჩატარდა აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა. გამოკიხვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა განხორციელების მონიტორინგს აწარმოებენ ახალგაზრდული სათემო ცენტრები.

**2013 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ქსელის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეხებოდა:**

- დოკუმენტების პრიორიტეტიზაციას;
- სოციალური დახმარების პროგრამების დახვეწას;
- სპეციფიკური სოციალური პროგრამების მიზანშეწონილობას;
- საბიუჯეტო განაცხადის ფორმების დახვეწას;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ინფორმატიულობასა და სტრუქტურას;
- ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანას;
- საბავშვო ბაღების დაფინანსების გაზრდას;
- საჯარო შეხვედრებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას;
- საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- საჯარო შეხვედრებზე პრობლემების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიებს;

tions was developed for each municipality addressing the improvement of operations of preschool facilities.

Program experts requested and studied public information and documentation regarding the Rural Development Program. The new Rural Development Program started in 2013, so studying and monitoring of the changes introduced in the new program was interesting. Accordingly, the following issues were studied and analysed:

- Schedule of meetings with program beneficiaries and their completion;
- Works planned by the program, their timing and the extent of their accomplishment.

Besides, for the sake of carrying out field monitoring of the Rural Development Program, Network experts held trainings for Community Youth Centers operating in the target municipalities, where they presented the methodology of rural residents opinion survey in the target municipalities. The survey was to evaluate the levels of public awareness about the Program and their satisfaction with the effectiveness of its implementation. In the second half of 2013, with the assistance from community centers, a survey of the mentioned program target groups was carried out. In order to eliminate the shortcomings revealed by the survey, recommendations were developed for each municipality, and their implementation is being monitored by the mentioned community youth centers.

**Recommendations developed by Network experts, based on the analysis of the ongoing budgetary processes in the target municipalities in 2013, related to the following issues:**

- Prioritizing the documents;
- Refining of social assistance programs;
- Appropriateness of specific social assistance programs;
- Refining of budget application forms;
- Informativeness and structure of the budget

ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად:
- ლაგოდეხის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში დაიხვეწა საბიუჯეტო განაცხადის ფორმა;
- ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება;
- ლაგოდეხის და თელავის მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში პროცედურული დარღვევებით მიმდინარე საჯარო შეხვედრები შეჩერდა;
- აგრეთვე იხილეთ 59 და 61 გვერდებზე აღწერილი შედეგები.

AS A RESULT OF TAKING THE LISTED RECOMMENDATIONS INTO ACCOUNT:
- **BUDGET APPLICATION FORM HAS IMPROVED IN LAGODEKHI AND CHOKHATAURI MUNICIPALITIES;**
- **IN ALL TARGET MUNICIPALITIES, FUNDING OF INFRASTRUCTURAL PROJECTS HAS INCREASED AS A RESULT OF CUTTING BACK ON ADMINISTRATIVE EXPENSES;**
- **PUBLIC MEETINGS HELD WITH PROCEDURAL VIOLATIONS IN LAGODEKHI AND TELAVI MUNICIPALITIES HAVE BEEN TERMINATED;**
- **ALSO, SEE RESULTS DESCRIBED ON PAGES 59 AND 61.**

- პროექტების განმახორციელებლებთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსს და შემადგენელ კომპონენტებს;
- სოფლის განვითარების პროგრამის ბიუჯეტის და საქმიანობის საჯაროობას.

2013 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა სოციალური პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი. ასევე მიმდინარეობდა იმ რეკომენდაციების გათვალისწინების მონიტორინგიც, რომლებიც მუნიციპალიტეტებისთვის ქსელის ექსპერტებმა შეიმუშავეს 2011 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრნობით.

completion report;
- Making corrections to the draft budget;
- Increase of funding for kindergartens;
- Increase of population awareness about public meetings;
- Organization of public meetings;
- Methodologies for problem identification at public meetings;
- The contents and components of the contracts made with project implementing agencies;
- Publicity of the Rural Development Program budget and activities.





სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით მიღწეული დადებითი შედეგების მიუხედავად კვლავ დაფიქსირდა მოქმედი სოციალური პროგრამების საერთო პრობლემები, ასევე ცალკეული დარღვევების შემთხვევები. აღნიშნული შემთხვევები განხილული იქნა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შემდგომში მათი თავიდან აცილების მიზნით. სოციალური პროგრამების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ქსელის ექსპერტების მიერ ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა რეკომენდაციათა პაკეტები.

In 2013, documentary and field monitoring of the social programs was continued in the target municipalities. Also, monitoring of comple-



**პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად:**

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა დანერგა სოციალური სერვისების მიწოდების ელექტრონული სისტემა. სოციალური პროგრამიდან დახმარების მისაღებად სოციალურად დაუცველ პირებს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარჩენალის გარეშე დარჩენილი ოჯახები და ა.შ.) ფორმალური საკითხების მოსაგვარებლად მრავალჯერ უწევდათ ადმინისტრაციულ ცენტრში გამგზავრება (მაგ.: განცხადების შესავსებად, წარსადგენი დოკუმენტების შესაგროვებლად, საბანკო ანგარიშის გასახსნელად და ა. შ.). სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის წევრი ორგანიზაციის – "საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია" - ძალისხმევით გაფორმდა მემორანდუმი ადგილობრივ გამგეობასთნ, შედეგად სოციალურ პროგრამებში ჩასართველად ყველა საჭირო დოკუმენტის მიწოდება შეიძლება 4 სათემო ახალგაზრდული სათემო ცენტრის საშუალებით. საგულისხმოა, რომ ხსენებული სათემო ცენტრები დაფუძნებული და გაძლიერებულია ჩვენი ორგანიზაციის "თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში." შესაბამისად სათემო ახალგაზრდული ცენტრები სოციალურად დაუცველ მოსახლეობას სთავაზობენ მათთვის საჭირო და ღირებულ ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას. მომსახურებით სარგებლობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 60%. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს არის მსგავსი ფორმით მომსახურების პირველი პრეცედენტი.**

**AS A RESULT OF CONSIDERING THE RECOMMENDATIONS DEVELOPED BY PROGRAM EXPERTS:**

**LAGODEKHI MUNICIPALITY INTRODUCED ELECTRONIC SYSTEM OF PROVISION OF SOCIAL SERVICES. IN ORDER TO RECEIVE ALLOWANCES FROM SOCIAL PROGRAMS, SOCIALLY UNPROTECTED PEOPLE (PEOPLE WITH LIMITED ABILITIES, MULTI CHILDREN FAMILIES, FAMILIES REMAINED WITHOUT THE BREAD EARNER, ETC.) HAD TO MAKE FREQUENT TRIPS TO ADMINISTRATIVE CENTERS FOR RESOLVING FORMAL ISSUES (E.G. TO FILL IN THE APPLICATION FORM, COLLECT NECESSARY DOCUMENTS THAT NEED TO BE SUBMITTED, OPEN BANK ACCOUNT, ETC.). WITH THE EFFORTS FROM A CIVIL MONITORING NETWORK MEMBER ORGANIZATION - CIVIL DEVELOPMENT ASSOCIATION OF GEORGIA - A MEMORANDUM WAS SIGNED WITH THE LOCAL GAMGEOBA. AS A RESULT, ALL NECESSARY DOCUMENTS TO BE INCLUDED IN THE SOCIAL PROGRAMS CAN NOW BE SUBMITTED THROUGH 4 COMMUNITY YOUTH ORGANIZATIONS. IT SHOULD BE NOTED THAT THESE COMMUNITY CENTRES WERE ESTABLISHED AND STRENGTHENED BY OUR ORGANIZATION UNDER THE COMMUNITY DEVELOPMENT PROGRAM. RESPECTIVELY, COMMUNITY YOUTH CENTRES OFFER THE SOCIALLY VULNERABLE POPULATION NECESSARY AND VALUABLE TECHNICAL AND CONSULTATIVE SERVICES. THE SERVICE IS BEING USED BY 60% OF VILLAGES OF LAGODEKHI MUNICIPALITY. IT SHOULD BE STATED THAT THIS IS THE FIRST PRECEDENT IN GEORGIA FOR PROVIDING THIS TYPE OF SERVICE.**

გარდა ამისა, სოციალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის გაცნობიერების მიზნით, ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე სოციალური დახმარების პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ერთვოდა მარტივად გასაგები ახსნა-განმარტებები შემდეგ საკითხებზე: ვინ არიან პროგრამების სამიზნე ჯგუფები, პროგრამაში ჩართვისთვის გასავლელი პროცედურები და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობაში გავრცელდა ახალგაზრდული სათემო ცენტრების დახმარებით.

### ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება

წლის განმავლობაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხორციელდებოდა მუნიციპალური ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის ანალიზი და შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება. აღნიშნული ექსპერტული შეფასებები, რომლებიც მოიცავდა ადგილობრივი ბიუჯეტირების ექსპერტულ ხედვას (დოკუმენტების სრული ვერსია იხ. „ცენტრის“ ვებ-გვერდზე წწწ.ცსრდგ.გე).

### მოსახლეობის ჩართვა საბიუჯეტო პროცესებში

ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტების 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტების გამარტივებული ვერსია. დაინტერესებული მხარეებისათვის აღნიშნული დოკუმენტების პრეზენტაცია გაიმართა ლაგოდეხსა (კახეთი) და ოზურგეთში (გურია). პრეზენტაციებზე საუბარი იყო იმ უზუსტობებზე, რომლებიც სამიზნე მუნიციპალიტეტებში 2012-2013 წლების საბიუჯეტო პროცესების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, ასევე მუნიციპალიტეტების საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულ ხარვეზებზე. გარდა ამისა, განხილული იქნა ქსელის ექსპერტების მიერ ზემოხსენებული მიმართულებებით შემუშავებული რეკომენდაციები და ის ნაკლოვანებები, რომლებიც გასულ წლებში გამოვლინდა და თვითმმართველობებთან ერ-

tion of the recommendations developed by the Network experts based on the 2011 monitoring results was carried out.

Despite the achieved positive results with regards to the implementation of social programs, common problems of the current social programs, as well as separate cases of violations, were again marked out. For avoiding their reoccurrence in the future, the mentioned cases were discussed with representatives of the municipalities. Based on the the social program monitoring results, the Network experts developed packages of recommendations for all five target municipalities.

Besides, for raising public awareness about the social programs, the Network experts prepared a list of social assistance programs that are underway in the target municipalities, providing easy to understand explanations on the following issues: the program target groups, procedures to be taken for being included in the program, etc. The mentioned information was disseminated among the population by means of community youth centres.

### Quarterly and Annual Evaluation of the Budget Completion

During the year, an analysis of the municipal budget quarterly and annual completion reports was carried out in the target municipalities and analytical documents were prepared for each. These evaluations contained expert analysis and advice. Full versions of the documents are available on CSRDG web-site www.csrdg.ge.

### Public Engagement in the Budgetary Processes

The Network experts prepared a simplified version of the approved 2013 budgets in the target municipalities. Presentations about this document were held for stakeholders in La-

თობლივი მუშაობის შედეგად დაიხვეწა 2013 წლისათვის.

პრეზენტაციებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ადგილობრივი მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, „ცენტრის" ექსპერტები. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ფართოდ გაშუქდა ცენტრალურსა და ადგილობრივ მედიაში.

godekhi (Kakheti) and Ozurgeti (Guria). During the presentations, the experts addressed the flaws revealed as a result of the analysis of 2012-2013 budgetary processes in the target municipalities, as well as weaknesses (identified by the monitoring) in the transparency of the municipality activities. In addition, the flaws that had been identified in the previous years were corrected during 2013 by means of joint work with the municipalities were discussed.

The presentations were attended by high ranking officials from the local government, representatives of the local media, civil society organisations and CSRDG experts. The results of the monitoring were widely covered by the national and local media sources.

## ქვეპროგრამა — კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა

*პროგრამის მიზანია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების საჯაროდ განხილვა და შეფასება, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.*

ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხების კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ინტერესთა დაცვის კამპანიების წარმართვა — ცენტრის მიდგომის ქვაკუთხედია. იგი ხორციელდება როგორც „ცენტრის" ბაზაზე არსებული ექსპერტების, ისე მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. კვლევებისა და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების ირგვლივ კვლევით საქმიანობას, არამედ მის საჯაროდ განხილვას, „ცენტრის" რეგულარული გამოცემების, დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების და სემინარების ორგანიზების გზით; თითოეული თემის ირგვლივ ექსპერტული რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამისი ორგანოებისათვის მიწოდებას; გარდა ამისა, ხდება მათი გათვალისწინების მონიტორინგი და მიღებული შედეგების მასმედიის საშუალებებში გაშუქება.

2013 წელს, გარემოს ანალიზის შედეგად, პროგრამის ფარგლებში შეირჩა რამდენიმე პრიორიტეტული სფერო, კერძოდ: ფისკალური დეცენტრალიზაცია; საფინანსო ორგანიზაციები და სესხის გაცემის პროცედურები; მომხმარებელთა უფლებები. ჩამოთვლილ სფეროებში საკითხები შეირჩა მათი სიმწვავის, საზოგადოებისა და სფეროს ექსპერტთა მხრიდან ინტერესის არსებობის კრიტერიუმებით. საბოლოოდ გამოკვეთილ საკითხებზე ჩატარდა კვლევები და განხორციელდა ინტერესთა დაცვის კამპანიები.

### ხელისუფლების დეცენტრალიზაცია

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" აქტიურად მუშაობს საქართველოს თვითმმართველი ერ-

## SUB-PROGRAM - RESEARCH AND PROMOTION OF REFORMS

***The goal of the program is to hold public discussions on, and evaluations of, State policy relevant to the wider society, and promote consideration of the role of various sections of the public in the decision making process.***

Research, analysis and the implementation of interested advocacy campaigns is the corner stone of the CSRDG approach. It is implemented by our experts, as well as other highly qualified specialists. The research and reforms promotion program involves not only research activity about specific issues, but also ensuring their public discussion by means of CSRDG regular publications, the organisation of stakeholder meetings and seminars. Expert recommendations about each topic are then submitted to the relevant bodies. In addition, monitoring of their implementation and media coverage of the results achieved also take place.

In 2013, after analysis of the environment, several priority areas were selected within the program, in particular: fiscal decentralisation; financial organisations and loan issuing procedures; customers rights. Issues in the listed areas were selected according to the following criteria: their relevance, sharpness; and expressed interest from the public and area experts. Studies were carried out on the identified issues, and interest advocating campaigns were held.

### Governance decentralisation

Centre for Strategic Research and Development of Georgia is actively working to eliminate the factors impeding the increase of fiscal decentralisation level of the Georgian self-governed entities. With this respect, a study - Fiscal Decentralisation Trends in Georgia - carried out by CSRDG experts in 2013, is interesting.

თეულების ფისკალური დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის და დეცენტრალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრის მიმართულებით. ამ მხრივ საინტერესოა 2013 წელს ცენტრის ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა - “ფისკალური დაცენტრალიზაციის ტენდენციები საქართველოში”. კვლევაში განხილულია: ადგილობრივი ფინანსები და მათი მნიშვნელობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის; საკანონმდებლო მიმოხილვა ადგილობრივი ფინანსების კუთხით; თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები და მათი გადანაწილება; სატრანსფერო პოლიტიკა; გადასახადები, მოსაკრებლები და ხარჯები; საქართველოში ფინანსური დეცენტრალიზაციის დონე საერთაშორისო ინდექსების შესაბამისად; ფისკალური დეცენტალიზაციის საერთაშორისო გამოცდილება ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითზე.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის დონე ძალიან დაბალია. მუნიციპალური ბიუჯეტების 70-95% ცენტრალური ბიუჯეტებიდან მიღებული ტრანსფერების საშუალებით ივსება. ამასთან დაბალია მუნიციპალური ბიუჯეტის დონეზე საბიუჯეტო შემოსულობების ერთ სულ მოსახლეზე გადანაწილება, რომელიც 170-200 ლარის ფარგლებში მერყეობს (განსხვავებით ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან, სადაც ეს მაჩვენებელი დაახლოებით 3 000 ლარია). ბუნებრივია ამ პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია და შესაბამისად ცენტრის ექსპერტების აზრით ქვეყანაში უახლოეს მომავალში დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ფისკალური დეცენტრალიზაციის კომპონენტს, რის გარეშეც თვითმმართველობის იდეის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

## საფინანსო ორგანიზაციები და სესხის გაცემის პროცედურები

2013 წელს სპეციალური კვლევა მიეძღვნა მუნიციპალიტეტებში საფინანსო ინსტიტუტებიდან ფინანსების მოძიების შესაძლებლობებს. კერძოდ კვლევაში განხილულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაცები, ბიზნეს საქმიანობის წამოწყების მსურ-

The study addresses the following issues: local finances and their importance for the development of local self-governance; legislative review with regards to local finances; budget revenues of local self-governed entities and their distribution; transfer policy; taxes, fees and expenses; the level of fiscal decentralisation in Georgia by international indexes; international experience of fiscal decentralisation on the example of the Baltic states.

The study showed that the level of fiscal decentralisation in Georgia is very low. 70-95% of municipal budgets are filled by transfers from the central budget. At the same time, per capita distribution of budget revenues on the municipal budget level is also low, ranging between 170-200 GEL (unlike the Baltic States, where this indicator is about 3 000 GEL). Naturally, in these conditions, even the thought about the development of local self-governance is too much, and, accordingly, CSRDG experts believe that local self-governance reform planned in the country should necessarily contain fiscal decentralisation component. Without this, implementation of the self-governance idea is practically impossible.

## Financial Organisations and Loan Issuing Procedures

In 2013, a special study was dedicated to the opportunities of municipalities to seek funding from financial institutions. In particular, the study addresses the following: commercial banks and micro-finance organisations operating in Georgia, procedures for getting loans by start-up businesses, expenses of the loan, risks associated with taking a loan, positive and negative sides of getting a loan, etc.

The mentioned study can be used as a practical guide by start-up businesses, or those that are willing to expand their already operating businesses or find new markets.

ველთათვის სესხის მიღების პროცედურები, სესხის ხარჯები, სესხის აღებასთან დაკავშირებული რისკები, სესხის აღების დადებითი და უარყოფითი მხარეები და სხვა.

აღნიშნული კვლევა პრაქტიკულ გზამკვლევად გამოადგება იმათ, ვისაც სურთ ბიზნეს საქმიანობის წამოწყება, უკვე არსებული ბიზნესის გაფართოვება ან ახალი ბაზრების ათვისება.

### მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფერო

2013 წელს პროგრამის ექსპერტები მუშაობდნენ, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ადეკვატურად ასახვის ხელშეწყობის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიმდინარეობდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

